# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბრბოის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 თებერვალი, 2011 წელი.

№22 (6633)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ვაშა, მიშას ახალი თვითმფრინავი ემოლმებაო!!!




5

თურმე ისეთ თვითმფრინავზე გადაჯდება, საწვავით გამართვა არ დასჭირდება, ისე შემოუფრენს ამ პლანეტას, აბა გზაში დასაკარგი დრო სად აქვს!

## ასეთი „წარმატებულნი“ ვაითუ, რისში ამოვრჩნდეთ?!

2



## თუ სამშობლო დაგვეკარგა, ქვეყანას რა თავში ვიხლით?!



3



## აკი მუდამ საერთაშორისო სტანდარტებით ვხელმძღვანელობთო?!

8

## თანამედროვე „სოფლის მშენებელთა“ მორიგი „შედევრი“

10

## ხელისუფლება – სხვისთვის ჰუმანიტარი, ჩვენთვის – დედინაცვალი

6

## ევროპისკენ – სინგაპურის გავლით...

7



## მონა ლიზა ქალი კი არა, ბიჭი ყოფილაო!

5



## არგონავტთა კოლხეთის დასასრული?!

11

## ექვსი წელი - ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან

2



პოზიცია

# თუ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სწრაფად შეცვლა ვერ მოხერხდა, ჩიხში აღმოვჩნდებით

**ინფლაციის რეალურ მიზეზებზე, ქართული ეკონომიკის პრობლემებსა და პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში ინფლაციის მაღალი დონის მიზეზებზე ხელისუფლებისა და ექსპერტთა მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვევა. ხელისუფლება ქვეყანაში ინფლაციის მაღალ დონეს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსა და საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდას უკავშირებს. ექსპერტები კი, ინფლაციის მიზეზად ქართული ეკონომიკის გაუმართაობას ასახელებენ. თქვენი აზრი როგორია?**

— ექსპერტთა აზრს ვეთანხმები, მაგრამ უფრო კონკრეტული ვიქნები. ჩემი აზრით, ინფლაციის ყველაზე აშკარა მიზეზი საქართველოს ეკონომიკის ეკლექტიკური სტრუქტურაა. სამწუხაროდ, მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი წილი მომსახურებაზე მოდის და არა — რეალურ მწარმოებლურ სექტორზე. სოფლის მეურნეობა მშპ-ს მხოლოდ 8,3%,-ს შეადგენს; მრეწველობა — მაქსიმუმ 24%-ს, დანარჩენი კი, ფაქტობრივად, მომსახურებაზეა დამოკიდებული. ასე რომ, ინფლაციის მთავარი მიზეზი სწორედ ეს არის. თუმცა, საქართველოში ინფლაციის დონე უფრო დაბალია, ვიდრე, ვთქვათ, იმავე აზერბაიჯანში.

თუ სახელმწიფომ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სწრაფად შეცვლა ვერ მოახერხა, ჩიხში აღმოვჩნდებით და სახელმწიფოს სუვერენიტეტს სერიოზული რისკები დაემუქრება. უკვე არის მცდელობა, რომ საქართველო, რომელიც ტრადიციულად, საუკუნეების განმავლობაში, რეგიონული ლიდერი იყო, ასეთი ლიდერი აღარ იყოს და ამიერკავკასიის ცენტრი სხვაგან გადავიდეს. სხვათა შორის, მეფის რუსეთის დროს და საბჭოთა პერიოდშიც საქართველო ამიერკავკასიის ცენტრი იყო და ამიტომაც, ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნის შემდეგ, რომელმაც სულ ცოტა ხანი იარსება, მისი ცენტრი თბილისში გახლდათ. აზერბაიჯანელები და სომხები ცდილობენ, ამიერკავკასიის ცენტრი ბაქოსა და ერევანში გადავიდეს. ეს პროექტები აშკარად არ გამოვა, თუმცა აბსოლუტურად განხორციელებადია პროექტი, რომელიც თურქეთის რეგიონულ ლიდერობას ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგება, ვინაიდან საქართველოს დღეს რუსეთისგან მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილი ნება იცავს. საქართველო დასავლეთის ქვეყნებისთვის ჯერჯერობით მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია. თუკი ცენტრი თურქეთში გადავა, ამ შემთხვევაში საქართველო დასავლეთისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პარტნიორი ვერ იქნება. ასეთ ვითარებაში რუსეთი შეეცდება საქართველოს დაპყრობას და ქვეყნისა და მთელი ამიერკავკასიის თავის ფარვატერში დაბრუნებას. დასავლეთი კი, შეეცდება ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნას. სხვათა შორის, ასეთი კონფედერაციის შექმნის სხვადასხვა ფორმები კარგა ხანია, განიხილება. დღეისთვის ამიერკავკასიის პერსპექტივასთან დაკავშირებით ეს ორი ტენდენციაა გაბატონებული. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრები ვართ. ამისთვის კი საჭიროა, საქართველომ შიდა სოციალურ-ეკონომიკური სფერო განავითაროს და საერთაშორისო თანამეგობრობის მდიდარი და ღირსეული პარტნიორი გახდეს.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ თუ სახელმწიფომ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სწრაფად შეცვლა ვერ მოახერხა, ჩიხში აღმოვჩნდებით და სახელმწიფოს სუვერენიტეტს სერიოზული რისკები დაემუქრება. როგორ უნდა შეცვალოს სახელმწიფომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა?**

— ამისთვის აუცილებელია, განვითარდეს სამეწარმეო სექტორი, რეალური ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა და ეს ყველაფერი დაეფუძნოს ადგილობრივ რესურსებს. კარგია ტურიზმის განვითარება, მაგრამ ყველა ქვეყანა, რომლებმაც თავისი ეკონომიკა ტურიზმს დაუკავშირა, დღეს დეფოლტის სტადიაში იმყოფება. ასეთი ვითარებაა საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და მალდივის კუნძულებზე.

აუცილებელია ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოქმედება, ქართული ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტოსა და ეკონომიკური განვითარების ფონდის შექმნა. არ შეიძლება, რომ საქართველოს ოქროს მარაგების 100 პროცენტს ერთი კომპანია ფლობდეს. ორი მეგობარი კომპანია — სააქციო საზოგადოება „მადნეული“ და შპს „კვარციტი“, რომლის მფლობელი რუსული კომპანიაა და მათი შტაბბინა მოსკოვშია, 35 ლიცენზიას ფლობს და აქედან მხოლოდ 2-ს ამუშავებს.



იხ. 4 გვ.

კონფლიქტის ზონა

# ევროპელები კულუარულად ცდილობენ, საქართველო აფხაზეთის რაღაცა ფორმით აღიარებაზე მაინც დაითანხმონ

**აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ ოპოზიციონერი ლიდერის იაკუბ ლაკობას დაკავებას აფხაზური ელიტა ბაღაფშის მიერ „წითელი ხაზის“ გადაკვეთად აფასებს. მათი თქმით, აფხაზეთში რაც არ უნდა დიდი პოლიტიკური დებატები იყოს, ადამიანურ მომენტებს უმთავრესი ყურადღება ექცევა. ამის გათვალისწინებით, როდესაც ბაღაფშის რეჟიმმა ლაკობა დააკავა, საკუთარი თავისა და ე. წ. მთავრობის იმიჯი შელახა, რაც აუცილებლად აისახება მათ რეიტინგზე.**



**გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინათ სოხუმს სამხრეთ კავკასიის ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნები სტუმრობდა, რომელმაც აღნიშნა, რომ არაღიარების პოლიტიკის პარალელურად, აუცილებელია, სოხუმის რეჟიმთან ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობა დაიწყოს. აფხაზეთის ე. წ. პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ კი ღიად განაცხადა, რომ აფხაზეთი საქართველოს გვერდის ავლით ევროსაბჭოსთან ითანამშრომლებს.**

**აღნიშნულ და ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით „ჯი-ეიჩ-ენი“ კავკასიის საკითხებში ექსპერტს მამუკა არეშიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო მამუკა, იაკუბ ლაკობას დაკავებას აფხაზური ელიტა ბაღაფშის მიერ „წითელი ხაზის“ გადაკვეთად აფასებს. როგორ აისახება ეს აფხაზეთში სოხუმის დღევანდელი რეჟიმის რეიტინგზე?**

— აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლება, ბაღაფშის ხელმძღვანელობით, იძულებულია ორცეცხლშუა იტრიალოს. ერთი მხრივ, იძულებულია, რუსეთს ზოგი რამ დაუთმოს, რადგან ხელს, რომელიც გაჭმევს, მოფერება უნდა. მეორე მხრივ კი, იძულებულია, გაუძლოს საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან შემოტევებს, ზოგს შემთხვევაში სამართლიანს და ზოგჯერ — უსამართლოს. მაგალითად: ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის, თუნდაც რაულ ხაჯიმბას, ქმედებები წმინდა წყლის პოპულიზმია, რადგან 2004 წლის ე. წ. არჩევნებზე ყოველდღე სოჭში, სამთავრობო აგარაკზე დარბოდა პუტინთან და ხან რას სთხოვდა და ხან რას.

აფხაზეთში ოპოზიციონერობას ზოგი პოპულიზმისთვის იყენებს და ზოგს მართლა გული შესტკივა აფხაზი ეთნოსის ხვალინდელ დღეზე. საზოგადოება და ოპოზიციური პარტიები მიიჩნევენ, რომ რუსეთისადმი დათმობა აფხაზი ერის გადაშენებასა და რუსეთის მიერ აფხაზეთის ხელში ჩაგდებას გამოიწვევს. მათი პოზიცია ცოტა გასაკვირია, რადგან ხელფასებსა და პენსიებს რუსეთისგან იღებენ და ისევ მათ ებრძვიან. ამ თვალსაზრისით, ისინი სასაცილოდ გამოიყურებიან.

რაც შეეხება თვითონ ლაკობას, მან სტეპაშინი ცუდი სიტყვებით „შეამკო“ და რუსული პოლიტიკა გააკრიტიკა, ამიტომ ბაღაფშის ხელისუფლების მხრიდან ლაკობას დაკავება იყო გარკვეული ჟესტი, რომ მან რუსეთის ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლის შეურაცხყოფაზე რეაგირება მოახდინა, მაგრამ დაკავება რომ სდომებოდა, უკან აღარ გამოუშვებდა.

თუმცა ლაკობას დაკავება ბაღაფშის მხრიდან შეცდომა იყო, თუნდაც მისი გვარის გამო, რადგან ლაკობები აფხაზეთში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ წინაპრის - ნესტორ ლაკობას გამო. ლაკობა აფხაზეთის ერთ-ერთ გმირად ითვლება. მას მიიჩნევენ ადამიანად, ვინც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, ამიტომ არ ღირდა მისი დაპატიმრება. მით უმეტეს, რომ მისი დაჭერით ერთი ჩვეულებრივი პარტიის ლიდერ ფიგურას დაუპირისპირდა, თუმცა მგონია, რომ ეს რუსეთის ზეწოლით მოხდა.

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია

## მთავრობას საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების იმედი აქვს

**ახალი საგადასახადო კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ მთავრობა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას ელოდება. საქართველოს მთავრობის 2011-2014 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში ნათქვამია, რომ საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია ძლიერი და ეფექტური საბაჟო-საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და საგადასახადო საჩივრების რაოდენობის შემცირება.**

**2011-2014 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში წერია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა გამარტივდა, შემცირდა გადასახადების განაკვეთები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რის შედეგადაც ყოველწლიურად იზრდებოდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, თუმცა მომავალშიც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობის ეფექტურობის ზრდა და საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოების და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება.**

## 90-დღიანი ვადა შეამცირეთო...

**გაერო საქართველოს ხელისუფლებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის კანონმდებლობით დადგენილი წინასწარი დაკავების 90-დღიანი ვადის 60-დღემდე შემცირებას თხოვს, რასაც თბილისი არ იზიარებს.**

**აღნიშნული რეკომენდაცია ერთ-ერთია ორგანიზაციის მიერ საქართველოსთვის მიცემულ იმ 163-დან, რომლებიც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ჟენევაში გამართულ მე-10 სესიაზე 1-ელ თებერვალს დაამტკიცა.**

**როგორც აღნიშნულ სესიაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგი კაპანაძემ განაცხადა, „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პრაქტიკა ბევრი ევროპული სახელმწიფოს პრაქტიკაზე უფრო ლიბერალურია, რის გამოც ეს რეკომენდაცია გაზიარებული ვერ იქნება“.**

**აღსანიშნავია, რომ საქართველომ სულ 5 რეკომენდაციის გაზიარებაზე თქვა უარი და როგორც კაპანაძე განმარტავს, ისიც იმის გამო, რომ „არასწორ ინფორმაციას ეფუძნებოდა“.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## 6 წელი – ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან

**3 თებერვალს, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 6 წელი შესრულდა. ზურაბ ჟვანიას ნათესავები, ახლობლები, მეგობრები და ოფიციალური პირები ყვავილებით შეამკობენ მის საფლავს.**



**ჟვანია 2005 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი აირის გაჟონვა სახელდება. თუმცა გენერალურ პროკურატურაში გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და დამნაშავეთა შესახებ კითხვები კვლავ უპასუხოდაა დარჩენილი.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# სახელმწიფო შესაძლოა, აშენდეს კიდეც, მაგრამ ამ მშენებლობაში სამშობლო დაიკარგოს

**ქართული პოლიტელიტის თავისებურებებზე, იმაზე, ჩამოყალიბდა თუ არა საქართველოში პასუხისმგებლობის მქონე ახალი პოლიტიკური ელიტა, „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა კულტუროლოგ ლელა იაკობიშვილს.**



**– ქალბატონო ლელა, 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოში პოლიტელიტის ჩამოყალიბებას დრამატული მოვლენების გარეშე არ ჩაუვლია. საკმაო დროა გასული საიმისოდ, რომ შესაძლებელი იყოს ქართული პოლიტელიტის ჩამოყალიბების ეტაპებსა და თავისებურებებზე საუბარი. როგორ დაახასიათებდით თანამედროვე საქართველოს პოლიტელიტას და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი?**

– განმარტებისათვის თავიდანვე ვიტყვი, რომ პოლიტიკურ ელიტაში ალბათ უნდა ვიგულისხმოთ ადამიანების ის ჯგუფი, რომელიც ფლობს ხელისუფლებას და, შესაბამისად, – ძალაუფლებასაც. ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ერთგვაროვანი არ გახლავთ. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ პოლიტიკური ელიტა, როგორც ადამიანთა არაერთგვაროვანი ჯგუფი, აღიწეროს გარკვეული პარამეტრებით. მაგალითისათვის – ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი მანქანის ადმინისტრაციულ სისტემაში დაკავებული პოზიციის გამო აქვთ გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე; ადამიანები, რომელთაც რეპუტაციის გამო აქვთ გავლენა, და ადამიანები, რომლებიც ამ გავლენების კვალდაკვალ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებენ.

რეპუტაციის გამო გავლენის მქონე ადამიანთა ჯგუფი შესაძლოა, ოპოზიციური პოლიტიკური ძალაც იყოს, თუ მისი მსოფლმხედველობრივი და ქვეყნის მოწყობის შესახებ მოსაზრებები აქტუალურია ქვეყნისთვის და პოპულარულია მოსახლეობაში. მე პოლიტოლოგი არ გახლავართ და ამდენად ჩემთვის უფრო საინტერესო გახლავთ, რამდენად განაპირობებს ჩვენი პოლიტიკური ელიტა და მისი ამგვარი სტრუქტურის ფორმატი დღევანდელი საქართველოს კულტურის რეჟიმს. ვფიქრობ, საქართველოს შემთხვევაშიც ქართული პოლიტიკური ელიტის ასეთი დასახსვრა მეტ-ნაკლებად მოხდა. პირველი, ჩვენ გვყავს პარლამენტი, რომლის წევრების უმრავლესობა არა მისი პერსონალური რესურსის, არამედ მხოლოდ პარლამენტარის პოზიციის გამო შეგვიძლია მივიჩნიოთ პოლიტიკურ ელიტად. მეორე - ჩვენ გვყავს სტრატეგიული თუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები, რომლებსაც ხელისუფლებად მოვიაზრებთ და გვყავს მესამეც, ადამიანების ჯგუფი, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებსა და სრტატეგიულ გადაწყვეტილებებზე, უფრო ზუსტად კი, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის ძალის მქონენი არიან. სამწუხარო მხოლოდ ის გახლავთ, რომ რამდენადაც პოლიტიკურ პროცესებში ოპოზიციური სპექტრის მონაწილეობა უმნიშვნელოა (მხოლოდ პარლამენტის უმცირესობაც, პოლიტიკური ელიტის სტრუქტურაში მათი მონაწილეობაც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე გავლენა მხოლოდ სახელისუფლო სტრუქტურის შიგნიდან ხდება. ამიტომ რეპუტაციის მქონე გავლენის ჯგუფად მათი მოაზრება ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობ გადაჭარბებული იქნება.

ახლანდელი პოლიტიკური ელიტაც, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, მხოლოდ ძალაუფლების დისკურსში აზროვნებს, რაც სრულიად ბუნებრივია იმის გამო, რომ ძალაუფლებასა და ხელისუფლებას შორის სადემარკაციო ხაზი ჯერ თავად საზოგადოებას არ მოუნიშნავს. დემოკრატიული საზოგადოებისთვის სრულიად ბუნებრივი – მოქალაქისა თუ ხელისუფლების პასუხისმგებლობის თემა მისი საკუთარი ცხოვრებისა თუ ქვეყნის ბედის გამო, ჩვენთვის ჯერ მაინც უცხოა. ამას, რა თქმა უნდა, ისტორიული წანამძღვრები განაპირობებს და 20 წელი, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა ხელისუფლება და, ზოგადად, პოლიტიკური ელიტა, საზოგადოების მსოფლმხედველობის, მისი შემოქმედებითი ნების ნაყოფი გამხდარიყო; გამხადრიყო მისი ორგანული ნაწილი, რომელიც მას და მის სამყაროში „ამგვარად“ ყოფნის ნებას გააჰმოვანებდა მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის. პოლიტიკური ელიტის მისიაც ეს გახლავთ – უნდა „თარგმნოს“ ეს ნება პოლიტიკის ენაზე და ეფექტიანად გააჰმოვანოს. შესაძლოა, ცოტა პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ ნამდვილად ასეა.

ვფიქრობ, ჩვენი კულტურა ბოლო ოცი წელია, ჯერ კიდევ შფოთშია და ჩვენს საზოგადოებას თავისი კონკრეტული მიზანი ჯერაც არ მოუნიშნავს. მას თითქოს კარგად ესმოდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმატში სურდა არსებობა და ამ გზას დაადგა კიდეც, ახლა კი აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო შესაძლოა, აშენდეს კიდეც, მაგრამ ამ მშენებლობაში სამშობლო დაიკარგოს. ამიტომ იგი დაბნეულია და მკვეთრი მსოფლმხედველობრივი ჩარჩოების მონიშვნა უჭირს, ამასობაში კი პოლიტიკური ელიტა სწორედ ძალაუფლების დისკურსში ცდილობს ფინანსური, ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი ელიტების ფუნქციების შეთავსებას. ამიტომ, ვიდრე საზოგადოებაში არ გაჩნდება სწორედ ამ შინაგან შფოთს მიყურადებული ინტელექტუალური და შემოქმედებითი ელიტა, რომელმაც ფინანსურ ელიტასთან თანამშრომლობით უნდა მიაღწიოს საწადელს, ქართული კულტურისთვის ეს საკითხები ისევ პრობლემური დარჩება, მიუხედავად იმისა, შეიცვლება თუ არა ხელისუფლება და ვისით შეიცვლება.

**– თქვენ სტატიაში „ელიტათა კონფლიქტი საქართველოში“ აღნიშნავთ, – წარმოუდგენელია, რომ ბიზნესელიტას არ ესმოდეს პოლიტიკური ელიტის, პოლიტიკურ და ბიზნესელიტას ერთად – ინტელექტუალური და სამეცნიერო ელიტის. შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ინტელექტუალური და ბიზნესელიტა, რომელიც პოლიტიკური კლასის საყრდენია და ყველას ერთად ქვეყნის მომავალზე პასუხიმგებლობა აერთიანებთ?..**

– საკითხი, ვფიქრობ, ცოტა სხვაგვარად დგას. სულ ცოტა ხნის წინათაც კი, ერთიანი ელიტა გახლათ ის სოციალური სეგმენტი, რომელიც თავის თავში მოიცავდა არა მხოლოდ კულტურის, არამედ ეკონომიკასა და პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების მართვას, მათზე კონტროლს. ის სრულიად განსაზღვრავდა ქართულ სოციალურ ველში მიმდინარე პროცესებს. ეს ინერცია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისევ არსებობს და საკმაოდ მძლავრადაც.

განსხვავებით ერთიანი ელიტისგან, ელიტები საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთ სფეროზე ფლობენ ძალაუფლებასა და კონტროლის უნარიც მხოლოდ ერთ, კონკრეტულ სფეროში მიმდინარე პროცესებზე აქვთ. ეს გახლავთ თავისუფალი საზოგადოების არსი და ლიბერალიზმიც, რომელიც სოციალურ თავისუფლებას გულისხმობს, როგორც იდეოლოგია, სწორედ ამ ღირებულებებზე დგას დასავლურ დემოკრატიაში.

ქართული საზოგადოების პრობლემა ისიც გახლავთ, რომ აქ ამ ტიპის ელიტებზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. დღევანდელ ფინანსურ და ინტელექტუალურ ელიტას საქართველოში ერთმანეთთან ჯერ თანხმიერება არა აქვთ, ამიტომ პოლიტიკური ელიტა, როგორც უკვე მოგახსენეთ, იოლად ითავსებს ამ სფეროებზე კონტროლს. ეს კონტროლი კი იმთავითვე გამორიცხავს ლიბერალიზმის იდეას. ამიტომაც პოლიტიკური ელიტა, გარდა იმისა, რომ ფინანსურ და ინტელექტუალურ ელიტასთან აქვს კონფლიქტი, საკუთარ დეკლარირებულ იდეოლოგიასთანაც კონფლიქტურია, რაც კიდევ უფრო დრამატულს ხდის სიტუაციას. სწორედ იმიტომ, რომ იგი საკუთარ იდეოლოგიასთან არის კონფლიქტური და თავისი შინაარსით ავტორიტარული რჩება, აგრესიულად ამკვიდრებს ლიბერალიზმის იდეისა და შინაარსისგან დაცლილ ლიბერალიზმის ფასადურ ფორმებს. ეს თითქოს მოჯადოებული წრე გახლავთ, რომელიც ისეც საზოგადოების შემოქმედებითმა ნებამ უნდა გაარღვიოს.

ფინანსური და ინტელექტუალური ელიტა ის ძალაა, რომელიც უნდა კარნახობდეს პოლიტიკურ ელიტას ქვეყნის პერსპექტივის სურათებს და პოლიტელიტა, როგორც ქმედითი ძალის მქონე, ახორციელებდეს მას. ასეთ შემთხვევაში ისინი მართლაც თანაბრად გადაინაწილებენ მოვალეობებსაც და პასუხისმგებლობასაც და პოლიტიკური ელიტაც აღარ გახდება საზოგადოებაში არსებული აგრესიული განწყობილებების სამიზნე. ინტელექტუალური თუ ფინანსური ელიტა პოლიტიკურ ელიტასთან ერთად ის შემოქმედებითი რესურსია, რომელთა თანხმიერების შემთხვევაში ლიბერალიზმი ცხოვრების წესად იქცევა და საზოგადოებაც შეძლებს სახელმწიფოებრივ თვითრეალიზაციას.

**– თქვენ, იმავე სტატიაში აღნიშნავთ – თუ ქართული ელიტჯგუფები ვერ მოახერხებენ ერთმანეთში მჭიდრო დიალოგის აწყობას, საკმაოდ დიდია იმის საფრთხე, რომ ქართული ელიტები მთლიანად დარჩნენ მიბმული საქართველოს გარეთ მიმდინარე პროცესებზე, გარე ელიტებსა და ფსევდოელიტებზე. ეს კი ძალიან დიდი რისკის წინაშე აყენებს ქართულ კულტურას. ვითარებაში, როცა თქვენივე შეფასებით ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სახეზე გვაქვს მსოფმხედველობრივი უმწიფრობა და ღირებულებათა დეფიციტი, ხოლო გლობალიზაცია ყოვლისმომცველი და გარდაუვალი პროცესია, არის თუ არა ქართული პოლიტიკური სპექტრის უპირველესი ამოცანა ქართული კულტურის მომავალზე, ანუ ჩვენი არსებობის მომავალ ფორმებზე კონსენსუსის მიღწევა?**

– რა თქმა უნდა, არის. ეს პირველ რიგში სამივე ელიტამ უნდა გადაიაზროს. თუმცა, ეს უფრო ტრივიალურ რეცეპტს ჰგავს – დასხდნენ და გადაიაზრონ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ შეძახილით შეუძლებელია. ჯერ ისევ პრობლემურია ბევრი რამ. ჯერ ისევ ელიტათა კონფლიქტის რეჟიმში ვართ.



იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## შენდება თანამედროვე არქივი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დოკუმენტაციის ქაღალდის ვერსიის უსაფრთხოდ შენახვისა და დაცვისთვის დიდ ლილოში თანამედროვე არქივს აშენებს. არქივის მშენებლობა, რომლის საერთო ფართი 3000 კვ.მეტრია, გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო.**



**შენობაში განთავსდება ქვეყნის მასშტაბით სარეგისტრაციო სამსახურებში უძრავ ქონებასა და ბიზნესის რეგისტრაციაზე არსებული ქაღალდის დოკუმენტაცია, ასევე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტაციის ნაწილი.**

**დოკუმენტაციის ახალი, თანამედროვე საარქივო სისტემის შექმნის მიზანი არსებული ქაღალდის დოკუმენტაციის შენახვისათვის საუკეთესო, უსაფრთხო პირობების შექმნა და სარეგისტრაციო სამსახურებში საარქივო ფართის მნიშვნელოვნად შემცირებაა.**

## თბილისსა და ლუქსემბურგს შორის, შესაძლოა, პირდაპირი ავიამიმოსვლა დაიწყოს

**ერთიანი საავიაციო სივრცის შექმნის საკითხზე საქართველოსა და ლუქსემბურგის საჰერცოგოს საგარეო საქმეთა მინისტრები ლუქსემბურგში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ.**

**როგორც ჟან ასელბორნთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ განუცხადა, ერთობლივი საავიაციო სივრცის შექმნაზე დოკუმენტის რატიფიცირება უახლოეს მომავალში მოხდება.**

**მისივე თქმით, მხარეებს შორის შეთანხმება შემჭიდროებულ ვადებში გაღრმავებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თაობაზეც იქნა მიღწეული.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ განსჯა

# სახელმწიფო შესაძლოა, აშენდეს კიდეც, მაგრამ ამ მშენებლობაში საშუობლო დაიკარგოს

(მესამე გვერდიდან)

კონფლიქტური რეჟიმი კულტურისთვის ჩვეული რეჟიმია, თუ კულტურა მოახერხებს ამ რეჟიმის დაძლევას. დღეს პრობლემური ის არის, რომ ელიტებს შორის აუწყობელი შიგა კომუნიკაციები დეკონსტრუქციული კი არ არის, დესტრუქციულია. მსოფლიო პოლიტიკური პროცესები კი არა მხოლოდ ამ კონსენსუსს, არამედ ძალთა სრულ მობილიზაციას მოითხოვს ჩვენგან. პირველ რიგში ეს ინტელექტუალურ და შემოქმედებით ელიტას ეხება. ის თავად გახლავთ „არამატერიალური აქტივი“, რომელიც მატერიალურ და პოლიტიკურ აქტივებს ქმნის ყველგან. მთავარია, მან გაუსწოროს თვალი აქტუალურ მსოფლიო გამოწვევებს და შემოქმედებითი პროცესების ტრანსფორმირებულ ფორმებს. ეს უმნიშვნელოვანესია ჩემი აზრით. და კიდევ ერთი, მხოლოდ მისი პასუხისმგებლობაა იმ პროცესების ანალიზი, რომელიც საქართველოში დღეს მიმდინარეობს. ფული და პოლიტიკური ნება შემოქმედებითი ძალისხმევის თანამდევი პროცესია და მერე კონსენსუსიც იოლად მიიღწევა. მაგალითისათვის, რაც ჩვენი პოლიტიკური ელიტის მიერ არის დეკლარირებული – პროდასავლური ღირებულებები, სწორედ ქართული ინტელექტუალური ელიტის ძიებების შედეგად ჩამოყალიბებული ისტორიული განწყობებია. არც ის გახლავთ დასამალი, რომ ამ განწყობების სარეალიზაციოდ საკმარისზე მეტი ფინანსური დახმარება საქართველოში სწორედ დასავლეთიდან შემოვიდა. ქართული პოლიტიკური ელიტა რომ დღეს დასავლური განწყობილებების დეკლარირებას ახდენს, ისეც ვფიქრობ, იმ ისტორიული განწყობების რეალიზაციაა, რომელიც პოლიტიკურ ელიტას ამ განწყობების მიერ შექმნილ პარადიგმაში აქცევს.

**– ქართული პოლიტელიტის თავისებურებებზე მსჯელობამ დაგვანახვა, რომ ქართული პოლიეტელიტა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ვითარება გაურკვეველი მანამდე იქნება, ვიდრე ზოგადად პროდასავლური და „აგრესიული ლიბერალიზმის“ პოლიტიკის გამტარებლებს შორის ურთიერთობები საბოლოოდ არ გაირკვევა.**

**თქვენი აზრით, ამ პროცესში რა როლს შეასრულებენ პრორუსული ძალები? და კიდევ, არის თუ არა მოსალოდნელი სერიოზული ცვლილებები ქართულ პოლიეტლიტაში და თუ კი, სავარაუდოდ, რა ტიპის ცვლილებებზეა საუბარი?**

– პრორუსულმა ძალებმა შესაძლოა, მხოლოდ ძალადობრივი გზით მოინდომონ ამ პროცესებში ჩარევა. ეს მისი პოლიტელიტის განწყობიდან გამომდინარეობს. რუსული სახელმწიფოებრივი კულტურა ზევრწილად სამხედრო ელიტაზე იდგა და დგას. სამხედრო კულტურისთვის კი ჩვეული რამ გახლავთ ექსპანსიაც და აგრესიაც. ამიტომ, თუ საქართველოში პრორუსული ძალები იმ რაოდენობით არსებობენ, რომ მათ კლიმატის შეცვლა შეუძლიათ, უნდა ახსოვდეთ, რომ რუსეთის დღევანდელი იდეალი ისევ ტერიტორიული პრინციპით აწყობილი იმპერიაა, რომლის საზღვრებში დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს არსებობა არ უწერია.

რაც შეეხება ცვლილებებს ქართულ პოლიტელიტაში. ვფიქრობ, იმ დუღილის პროცესში, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, უფრო მოსალოდნელია ცვლილებები ინტელექტუალურ და ფინანსურ ელიტაში, რაც თავისთავად შესაძლოა, მსოფლმხედველობრივი ცვლილებების განმაპირობებელ ფაქტორად იქცეს პოლიტელიტაში.

უმთავრესია, რა შემოქმედებითი უნარი გაიღვიძებს ჩვენს ხალხში, საკუთარი შემოქმედებითი პოტენციის დანახვის რა შესაძლებლობა მიეცემა მას. ის, შევძლებთ თუ არა ჩვენი ორგანული სხეულის საკუთარი კულტურის რეჟიმში შენარჩუნებას, ვფიქრობ, მხოლოდ ჩვენს შემოქმედებით ნებაზეა დამოკიდებული.

**„ინტერპრესნიუსი“**



◉ პოზიცია

(მეორე გვერდიდან)

როგორც უკვე ვთქვი, შესაქმნელია ქართული ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტო. საქართველო ცოტას, მაგრამ მაინც აწარმოებს მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას, სილიკომანგანუმს, თვითმფრინავებს, ზოგიერთ დანადგარს, უნიკალური თვისებების მქონე წყალს, ღვინოსა და ასე შემდეგ. ამ პროდუქციის საზღვარგარეთ ექსპორტისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩვენი წევრობა და ჩვენი კვოტები მოვითხოვოთ. გარდა ამისა, ეკონომიკაში ინვესტიციები ტენდერის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. მე პროტექციონიზმის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ვისურვებდი კრედიტებზე ტენდერების გამოცხადებას და ქართული კომპანიების მიერ ტენდერების მოგებას. ქართულ კომპანიებს უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, როგორიც საქართველოში უცხოურ კომპანიებს აქვთ. კომპანიებს უნდა მიეცეთ მაქსიმუმ 4-პროცენტიანი იაფი და გრძელვადიანი კრედიტები ხუთი წლით. საჭიროა ეკონომიკური განვითარების ფონდის შექმნა, რათა თავიდანვე გამოვრიცხოთ პროტექციონიზმი, ეს ფონდი მარეგულირებელი კომისიის მსგავსად უნდა შეიქმნას. ჩვენი ერთ-ერთი ტრაგიკული შეცდომა მარეგულირებელი კომისიის გაუქმება იყო. ახლა მხოლოდ სემეკი და კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიაა დარჩენილი, რომელთა საქმიანობის შესახებ საზოგადოებამ ცოტა რამ იცის.

**– ასეთ შემთხვევაში, საქართველოში რა დარგების განვითარებაა შესაძლებელი?**

– შესაძლებელია სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების სფეროს განვითარება. სოფლის მეურნეობის მომსახურების სფერო მიწების განოყიერებას ითვალისწინებს. ეს არის ტექნიკით უზრუნველყოფა. ძალიან მნიშვნელოვანია პროდუქციის რეალიზაციის მექანიზმების შექმნა. გლეხი კი არ უნდა მიდიოდეს ბაზარში, არამედ მასთან უნდა მოდიოდეს საშუამავლო მედიატორული კომპანია, რომელიც მოსავალს შეიძენს, დააფასოებს და შემდეგ ქსელში გაანაწილებს. სოფლის მეურნეობის განვითარების მეორე მიმართულებაა ამ სფეროში დაზღვევის სისტემა. მოსავალი მაშინ კი არ უნდა გაიყიდოს, როცა მოსავალს იღებენ, არამედ მაშინ, როცა ვთესავთ.

დანარჩენი დარგები, რომელთა განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ, არის დარგები, რომლებიც დაფუძნებულია ეროვნულ რესურსებზე. ოქროსა და ვერცხლის მოპოვებისა და გაყიდვის გარდა, ეს არის ქიმიური მრეწველობა, ქიმიურ მასალათა მრეწველობა. ამისთვის კი უნდა აღდგეს მაღაროები, ანუ სამთო საქმე, რომელიც მრეწველობის საფუძველია. ჩვენ საკმაოდ კარგი ხარისხის სილიკომანგანუმს ვაწარმოებთ, მაგრამ ამ წარმოებისთვის მანგანუმს ჩვენ ჭიათურის მაღაროში კი არ ვყიდულობთ, არამედ აფრიკიდან, კერძოდ, გაბონიდან შემოგვაქვს. ეს გარდა იმისა, რომ აბსურდულია, ჭიათურის აღდგენას არანაირად არ უწყობს ხელს. ასევე, უნდა აღდგეს გუმბრის, ასკანის, ბენტონიტების, დიატომიტის მაღაროები და ბერლიტის საბადოები. ჩვენ დაახლოებით 55 დასახელების უაღრესად მაღალი ხარისხის ქიმიური მასალების წარმოება შეგვიძლია, რომლებზეც ფასი საკმაოდ მაღალია. აუცილებლად უნდა აღდგეს შორდის ბარიტის საბადო, საბურღი ხსნარების საბადოები, რომლის ნაწარმი მაგალითად ღრმა ბურღვისთვის ბი-პი-ს ძალიან სჭირდება. დაახლოებით 17 დარგია, რომელთა განვითარება შესაძლებელია. მაშინ როცა საქართველოში უამრავი მაღალი ხარისხის თიხაა, არ შეიძლება აგურს თურქეთში ვყიდულობდეთ. ეს ეხება მეტლახის ფილებსა და კაფელებსაც. თავის დროზე საქართველოში აგურის 55 ქარხანა იყო, ახლა კი, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ მეტეხის ქარხანა მუშაობს. ასე რომ, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის საკმაოდ დიდი რესურსი აქვს.

## თუ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სწრაფად შეცვლა ვერ მოხერხდა, ჩიხში აღმოვჩნდებით

**– ვითარებაში, როცა საქართველო წლებია, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს ასრულებს, რამდენად შესაძლებელია შიდა რესურსების ამოქმედების საშუალებითა და შრომის შიდა რესურსის გამოყენებით ეკონომიკაში ეროვნული პოლიტიკის გატარება?**

– მეჩვენება, რომ მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას არასწორი წარმოდგენა აქვს. პირველი პროექტები, რომლებიც მათ საქართველოში განახორციელეს, კარგი მმართველობის დანერგვას უკავშირდებოდა. ისინი ქვეყანაში სწორი მმართველობის დანერგვას ცდილობდნენ და სწორი მმართველობა სწორედ იმას გულისხმობს, რაზეც უკვე ვისაუბრე. საბოლოო ჯამში ამ ინსტიტუტებმა საქართველოში შექმნეს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საბანკო სექტორი, რომელიც, თუ საკმაოდ ძვირ კრედიტებს არ ჩავთვლით, საკმაოდ კარგია. ჩვენთან ეკონომიკა რომ არ ვითარდება, ეს საერთაშორისო ორგანიზაციების ბრალი კი არა, არამედ მხოლოდ ჩვენს ცუდ მოწაფეობასა და ოროსნობას უკავშირდება. ყოველთვის მასწავლებლის ბრალი არ არის, რომ მოსწავლემ სასწავლო პროგრამა ვერ აითვისა.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ჩვენ უნდა გავყვეთ, მაგრამ – ჭკვიანურად. მსოფლიო ბანკი გლობალიზაციაზე მუშაობს, რაც ლიბერალური ეკონომიკური სისტემის გლობალურ გავრცელებას ითვალისწინებს. ლიბერალური ეკონომიკური სისტემა კი იმას ნიშნავს, რომ ქმედებებში თავისუფალი ხარ, თუკი გარკვეულ ძირეულ კანონებს ექვემდებარები. შესაძლოა, ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ – როცა ჩვენ მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქის ქუჩებში ვმოძრაობთ, არჩევანში თავისუფალი ვართ, მაგრამ გადასასვლელზე წითელ შუქზე ქუჩა არ უნდა გადავკვეთოთ. როცა საერთაშორისო ინსტიტუტების პირობებზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ ეკონომიკურ წითელ შუქებზეა ლაპარაკი. ჩვენ ზოგადი კანონები არ უნდა დავარღვიოთ. ჩვენ ძალიან ხშირად ვარღვევთ მათ. ვთქვათ, ვამეტებთ ფულის ემისიას, ვადიდებთ ფულის ბრუნვას, რაც საინფლაციო პროცესებს იწვევს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არასწორ რჩევებს გვაძლევენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ხშირად მათ რეკომენდაციებს არ ვითვალისწინებთ.

**– თქვენ, თქვენ კოლეგებთან ერთად საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივებს წიგნი მიუძღვენით, რომლის პრეზენტაცია ამას წინათ გაიმართა. წიგნის პრეზენტაციის შემდეგ თუ შეგეხმიანათ ვინმე ხელისუფლებიდან და რა პერსპექტივა არსებობს საიმისოდ, რომ თქვენ მიერ შემუშავებული ეკონომიკური პროგრამის 20-წლიანი გეგმის განხორციელება პრაქტიკულად უახლოეს მომავალში დაიწყოს?**

– დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი წიგნის შესახებ ხელისუფლებაში აქვთ ინფორმაცია. ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლება წიგნში დასახულ პერსპექტივებთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულებეს აიღებს. ჩვენ კარგი ცხოვრების გამო არ დაგვიწერია წიგნი საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივაზე. დავწერეთ იმიტომ, რომ სხვა ამგვარი რამ მანამდე არ არსებობდა. პრინციპში, წიგნის ავტორებმა დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ. ჩვენ მხოლოდ მოხარული ვიქნებით, თუკი ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელებას ხელისუფლება დაიწყებს. ხელისუფლებამ იცის, რომ წიგნის ავტორთა ჯგუფი მთავრობასთან თანამშრომლობისათვის მზად არის. ქვეყანაში საკმად დიდი ბუნებრივი, ინტელექტუალური და შრომითი რესურსია, რომ თავად ერმა შექმნას ეროვნული ეკონომიკა. ამის ნება საზოგადოებაში რეალურად არსებობს. დროა, ეკონომიკაში ქმედითი და არა მოჩვენებითი ცვლილებები განხორციელდეს. ახლა მთავარია, ყველა ამ რესურსს თავი მოეყაროს, ამას კი მთავრობის გარდა ვერავინ გააკეთებს.

**კობა ბენდელიანი**

◉ ინფორმაცია

## სოციალურად დაუცველი ოჯახები უფასო ადვოკატით ისარგებლებენ

**როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საკითხებზე უფასო იურიდიული დახმარება ძალაში მხოლოდ ორი წლის შემდეგ უნდა შესულიყო, მთავრობამ გამონაკლისი დაუშვა და სოციალურად დაუცველ პირებს 2011 წლის 1-ელი მარტიდან საშუალება ექნებათ უფასო ადვოკატით ისარგებლონ.**



**– ჩვენ ამ ეტაპზე კიდევ ერთ გამონაკლისს ვაკეთებთ. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ადამიანს შეიძლება შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა, ასეთ შემთხვევაში მას კანონის ძალაში შესვლის შემდგომ, საშუალება ექნება, შესაბამის სამსახურს უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართოს, – აღნიშნა მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.**

ХО-ЭОБ-ЭНО

**ღმერთო, შენ გვიშველე!**

# ვაშა, მიშას ახალი თვითმფრინავი მყოლებიაო!!!




**ეს ახალი, სასიხარულოზე სასიხარულო, გასაგიჟებელი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ცნობა ელვასავით მოედო ქვეყანას. დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა, სიხარულისგან ლამის ჭერს ურტყან თავი — თურმე ისეთ თვითმფრინავზე გადაჯდება, საწვავით გამართვა არ დასჭირდება, ისე შემოუფრენს, ამ პლანეტას, აბა გზაში დასაკარგი დრო სად აქვს.**

თუმცა ერთი პრობლემა კი შეგვიქმნა: ამ თვითმფრინავის სხვადასხვა ეგზემპლარს სხვადასხვა ფასი — 150 მილიონი დოლარიდან (დიახ დოლარი, თორემ ლარი რა ჩემი ფეხებიაძ, 400 მილიონ დოლარამდე ღირებულა. დაბალფასიანს ხომ ვერ შევკადრებთ, მაღალფასიანისთვის კი, ვაითუ, სახელმწიფოს თანხა არ ეყოს. ჰოდა, ხომ არ შეგვექმნა მიშას დახმარებისთვის (კინალამ წამომცდა, ქვეყნიდან გაპინტრიშების, ისე კი აჯობებდა!ძ ფონდი?

ისე ჩვენ რომ ვიყოთ მიშასავით, უკაცრავად, ვანოსავით „მაგარი“, ამ საშვილიშვილო საქმეს დღეიდანვე შევუდგებოდით!

ისე ტვინნაღრძობი მიშისტები კი შემოგვედავებიან ამ აყვავებული, ეკონომიკურად ზეალმატებული (ნუ გავიხსენებთ იმ 10 თუ 11 მილიარდი დოლარის საგარეო ვალს, რაში გვჭირდება, ის ხომ ჩვენი შვილიშვილების, შვილთაშვილების გადასახდელიაძ, დედამიწის ზურგზე ყველაზე წარმატებული დემოკრატიის, თუ რაღაც მამაძაღლობის ქვეყანას, ასე ნაგროვები ფულები რად უნდა, რავა, მიშას თვითონ არა აქვს ფული თუ რაო (ისე, მამის სული უცხონდა, პაპამისის დანატოვარ მილიარდებს ხარჯავს, აიძ!

ასე თუ ისე, ეს საკითხი გადაწყვეტილია. მიშამ თქვას და არ გააკეთოს, გაგონილა? მალე სააკაშვილს ეყოლება ისეთი, ისეთი, ისეთი თვითმფრინავი, რომლის მსგავსი ჩვენს მეზობელ სომეხ, აზერბაიჯანელ, რუსეთელ კი არა, თვით ზესახელმწიფოს (რა თქმა უნდა, საქართველოს შემდეგძ, თვით ამერიკის პრეზიდენტს არ ეყოლება. აბა მილიარდნახევრიანი ჩინეთის პრეზიდენტი რა სათქმელია, მათ ხომ ახლა ისწავლეს ჭამა, ადრე ჩხირებით, მარცვალ-მარცვალ კიკნიდნენ ბრინჯს, ახლა კოვზით ყლაპავენ, ჰოდა ჩვენ კი დაგვაქციეს. ისინი რომ არა, სამჯერ და ოთხჯერ ხომ არ გაძვირდებოდა წიწიბურა, ბრინჯი, შაქარი... კილო ნიორი 12 ლარი რომ ღირს, ესეც მათი ბრალი იქნება, სხვა რა ვთქვათ.

მიშას თუნდაც იმიტომ ეკუთვნის უახლესი მარკის თვითმფრინავი, რომ მას, როგორც მისმა კოლეგამ, ჩვენი ძმების — სომხების პრეზიდენტმა გაგვიმხილა, 27 წლის ასაკში მოუპოვებია დოქტორის ხარისხი, ჩვენ კი აქამდე მის უმაღლეს განსწავლულობას ეჭვქვეშ ვაყენებდით. ზოგ-ზოგები იმასაც ამტკიცებდნენ, კიევში რაღაც კაგებეს სასწავლებელი აქვს დამთავრებული, ამერიკაში კი — რაღაც კურსებიო. ერთი სიტყვით, ჭურში ვიჯექით, ახლა კი ყველაფერი „გაიასნდა“. ამის შემდეგ ხმა არ უნდა ამოვიღოთ ისეთ წვრილმანებზე, როგორიც არის შოთა რუსთაველის სომხობა, 665 თუ კიდევ მეტი ეკლესია, ჩვენი ძმების, სომხების რომ ყოფილა თურმე, თუნდაც ჩურჩხელა რომ „სომხური ჩუდოა“, „საფერავს“ რომ ასხამდნენ თურმე მითაჟამიდან, სხვა დანარჩენი, თუნდაც დამწერლობა და ისიც, ბაგრამიანელები ქართველებს თავს რომ აჭრიდნენ აფხაზეთში, კისერზე საბურავებს რომ წამოაცვამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ... ამისთანა რამეებს ნურც მიშიკოს შევახსენებთ.

ის კი არა, ბათუმისკენ გზის გაყვანა უნდა დავაჩქაროთ — სომხებს ხომ ზღვა არა აქვთ და...

მაპატიეთ, საუბრის თემას ავცდი ამასობაში, არადა იმდენი ვაიუშველებელი და თავსატეხი გაგვიჩინეს ჩვენმავე ხელდასხმულმა სააკაშვილმა და მისმა ყაჩაღებმა, კაცმა არ იცის, რომელი ერთი იტირო და იგლოვო, თუმცა ეს ახალი თვითმფრინავი ახალი აღმოჩენა, ახლად შემოგორებული გახლავთ. მართლაც შესანიშნავი რამაა, ჩვენთან კი ერთი ამბავია ატეხილი — რა დროს ეგაა, შიმშილით კუჭი გვიხმება, ავად თუ გახდი, შეიძლება ექიმს გადაურჩე, მაგრამ რად გინდა, წამალს ისეთი ფასი აქვს, ერთი თვის პენსიით (თბილისელებს რა ენაღვლებათ, ჩვენზე ათი ლარით მეტი აქვთძ დიდი-დიდი ორი დასახელებისა იყიდო, ისე კი სჯობს, თუ რამდენიმე თავი წამალი დაგჭირდა, პირდაპირ მიქეილ გაბრიელს ჩაბარდეო.

არადა, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, ხომ იძახდა, ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით ვიფრენ საზღვარგარეთო. ერთხელ კი გააკეთა ასე — მოსკოვში ჩაფრინდა კერძო მოქალაქესავით, მაგრამ არ ვიცი, მაშინ რა თვალი ეცა! ეგ იყო და ეგ: მას შემდეგ აიჩემა თავისი თვითმფრინავები!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ ახალი თვითმფრინავიდან პირდაპირ კოსმოსურ ხომალდზე გადაჯდება!

ესენი კი იმაზე ვიშვიშებენ, ამ ზამთარს როგორ გავატანთ, ცოლ-შვილი რითი ვარჩინოთ, ბავშვების შიმშილს გვირჩევნია, თავი მოვიკლათო!

აი მიშას დარდი, დაიხოცებით და მასაც ეგ უნდა — რაც მეტი გაეცლება ამ ქვეყანას, ნაცების მიზანიც ეგ არის, რამდენსაც გაწვდება, თავიანთ მიერ ჩამოთესლილ ბურებს ჩაასახლებენ, ამ სავარდბაღნარო ქვეყანას სხვები თავისით მოაკითხავენ, ისე ქართველებიც დარჩებიან. მართალია, არც ისე ბევრნი, მაგრამ მიშას მიმდევრების, ეგრეთ წოდებული მოქნაციონალების რაღაც 100 ათასამდე ოჯახი.

ფუი ეშმაკს, კალამი ისევ გამექცა! მე კი ახალ თვითმფრინავზე დავიწყე საუბარი და... მაგრამ თვითონ მიშიკო არ მანებებს, ეგ რა დაახეთქა კაცო — ჩვენში სხვანაირი თოვლი მოდისო! არადა, თოვლი რომ საერთოდ გაწყდა, ქართლ-კახეთში პურის ყანები განადგურდა, თაგვებმა დათესილ ხორბალს მუსრი გაავლეს.

აი, მიშა კი განსაკუთრებულ თოვლზე ალაპარაკდა! ნუთუ მართლა იქაც მიწვდა ვანოს ხელი და თოვლიც და წვიმაც გადაგვიკეტეს? ამათგან ყველაფერია მოსალოდნელიო, უმალ დაგიდასტურებს მავანი. რაო, მიშას ცოტა მტერი ჰყავს? ყოველ ათ კაცში 9 ამ ხელისუფლების დედის ტრიალშია, მაგრამ ეს რა ჩემი საქმეა, მე ამ ახალი თვითმფრინავის მოლოდინში ვარ და...

აუჰ, რა ბედნიერებაა, ახლაც სიხარულისგან ვთრთი და ვცახცახებ, ეს უშველებელი ვერცხლისფერი თვითმფრინავი რომ გადაიქროლებს და გადასერავს სამშობლოს ცას, მთელი საქართველო ხომ გარეთ გამოეფინება! თანაც შიგ მიშა იჯდება და თავზე ქოქოლას დაგვაყრის.

ეს გამყრელიძე რომ მეცამეტე გოჭივით გამოტყვრება? კრიზისის დაძლევის ხუთპუნქტიან პროგრამას სთავაზობს მთავრობას. მიშას რომ ასეთი პროგრამა სჭირდებოდეს, საქართველოს რა გამოულევს ასეთი პროგრამების შემოქმედ მეცნიერებს, ეკონომისტებს, აგრარიკოსებს? ქართველები ხომ მსოფლიოს წარმატებულ, და არა ჩვენსავით წარუმატებელ ქვეყანაში საოცრებებს ახდენენ დღესაც, წარსულზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ მიშას სულაც არ სჭირდება დოვლათი და ბარაქა, მით უმეტეს, მაძღარი და კმაყოფილი ხალხი. რით ვერ გაიგეთ, ვეჟო, თათქარიძე რომ იტყოდა, ჩვენი ლუარსაბი, მიშას აქვს თავისი ტურისტული პროგრამა, ხუთი მილიონი უცხოელი რომ შემოვა, მერე ქართველი კაცი მათ რომ ფეხებს დაჰბანს!

აგერ ახლახან ტელეხიდი რომ გამართა, რომელიღაც ტელეარხით, თვითონ რომ გამოიგონა, და აქ კიდევ ერთი თავსატეხი გაგვიჩინა — დიდი თუ პატარა, სხვა მეტი რა საქმე აქვთ, მე შენ გეტყვი და, სამსახურში, სამუშაოზე არ დააგვიანდეს — ახლა იმაზე დავობს, მიშას შოუ ჯობია თუ ვანოსიო (ჯავახიშვილზე ვამბობ თორემ მიშას ვანო, ჩუმადაა მოყუჩებული და თავის საქმეს აკეთებსძ.

მე კი მათ ერთმნიშვნელოვნად ვპასუხობ — მიშასი, მიშა მაგარია! და ახლა არ მამტკიცებინოთ რატომ!

— ლაპარაკის ფაღარათი დაგვემართაო, — ჩემმა ახლო მეზობელმა, ერთ დროს საბჭოთა კავშირში აღიარებული საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა, რუსთავის საპატიო მოქალაქემ, ღირსების ორდენის კავალერმა ჯუდუ სახელიშვილმა ეგრევე მომახალა, — უშველებელი და უპირველესი ქვეყნის პრეზიდენტმა თავისი საპროგრამო სიტყვა ერთ საათში ჩაატია... პრეზიდენტი მიშა ხომ, მაგრამ ოპოზიციის ლიდერებიც რომ გაუთავებლად ლაყბობენ, ღადაობენ, კუჭგამძღარნიც და ნაშიმშილარნიც, ეს რა უბედურება გვჭირსო.

— თვითმფრინავზე რას იტყვი? — ეგრევე შევუბრუნე კითხვა.

— ჩვენ ჯერ კიდევ აზრზე არა ვართ, რა სიუპრიზები და რა ბედნიერება გველოდებაო.

სხვა რა გზა გვაქვს, უნდა დაველოდოთ.

მიშას რომ ახალი თვითმფრინავი მალე ეყოლება, ცხადია. მერე ჩაისვამს ვერონიკას, ოჩიაურის ქალბატონსაც, სხვანიც მრავლად იქნებიან. თუნდაც გაბაშვილი, წიკლაური, ერთ-ერთი კუბლაშვილი... აი, ნოდიაზე ვერაფერს ვიტყვი, დაცურებულსა ჰგავს...

მის ახალ თვითმფრინავში, ცხადია, მეტი ადგილი იქნება, ამიტომ ჯიბის ტელევიზიებს — „რუსთავი-2“-ების ჟურნალისტებსაც ჩაისვამს ბლომად, შეიძლება ნაცებში ახალი ვარსკვლავებიც გამოციმციმდნენ. ამ ჩვენს თავგზააბნეულ ქვეყანაში კაცი რას არ უნდა ელოდე, ჩასხდებიან ბედნიერებით სახეგაცისკროვნებულნი და შეიძლება (ვეჭვობ, მაგრამ ყველაფერი მოსალოდნელიაძ იმ სიმაღლიდან წამიერად მაინც გადმოხედონ, თვალი შეავლონ, დედამიწის ყველაზე დემოკრატიულ, ყველაზე წარმატებულ, უმუშევართა, უპოვართა, უსასოთა საქართველოს.

**გივი ჯახუა**

***P. S.*** *კაცს რომ ნოვატორული იდეა გაგიჩნდება, შემოქმედი ჭია რომ ტვინში შეგიძვრება, კარგად მეყოლე! ხატზე დავიფიცებ, მიშასათვის თვითმფრინავის შეძენის ფონდის შექმნის იდეა ჩემია და ცოცხალი თავით არ დავთმობ.*

*მოგეხსენებათ, ყველა სიახლეს თან ეჭვი სდევს — ვაითუ?.. ჰოდა, აზრის გასაზიარებლად ჩემს ნამეტალურგალ კახელ გლეხს, მიხაილოვიჩს მივაშურე. ერთიც კია — მისი დაწურული სიღნაღურის გემოც დღემდე საღერღელს მიშლის.*

*— კაცო, არ გამიკვირდა, ზამთარმა ლამის ისევ ჩაიგრიალა, ერთი გრამი თოვლი არ გვაღირსა, — კარი გააღო თუ არა, ეგრევე მატაკა, თან მკერდში ჩამიკრა.*

*— რა ხდება? — დავფეთდი.*

*— ხომ თქვა, განსაკუთრებული თოვლი გვაქვსო, ჰოდა, წუხელ რომ მოთოვა, დილაუთენია გავვარდი გარეთ. დავაგუნდავე, სულ ხელებში ვატრიალე, ენის წვერითაც მოვსინჯე, გუნდებიც ვყლაპე..*

*— არ იტყვი, რა დაასკვენი?*

*— ისევ ისეთივე. მძ...ა, რაც შარშანდელი, არადა თურმე რაღაც მოეჩვენათ, ჰოდა, საჩვენოდ ვერ გაიმეტეს, ამასობაში კი წლის მოსავალი დამეღუპა. 10 ტომარა ხორბალი ძლივს მივაბარე მიწას, ჯერ ტრაქტორი რა ღირს, მერე საწვავი, იქ კი თაგვები დავასუქე...*

*როგორც იქნა, დავაწყნარე და ჩემი ახალი ფონდის შექმნის იდეა გადმოვულაგე.*

*— ჩინებულია, ტყუილად არ გეძახიან მწერალს, შემოქმედს. უნდა დაჩქარდეს!*

*— თვითონაც ჩქარობს, ვინ იცის, რა აქვს ჩაფიქრებული, რომ ხედავ, ტუნისში რა მოხდა, ეგერ რა ხდება ეგვიპტეში, სხვაგანაც... მიშა ჭკვიანია, ალბათ ტანმა უგრძნო...*

*ისე, მართლა, ვინ იცის, იქნებ!*

*ღმერთო, შენ გვიშველე!!!*

***გ. ჯ.***

**ინფორმაცია**

## ნიკო ფიროსმანის ახალი ტილო



**საზოგადოებისთვის** აქამდე უცნობი ტილო — „მამალი, კრუხი და წიწილები“ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა მაშინ აღმოაჩინეს, როცა ის დამნაშავეთა ჯგუფს საზღვარგარეთ გაჰქონდა.

— პროკურატურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დროულად იქნას აღკვეთილი ნიკო ფიროსმანის საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ტილოს „მამალი, კრუხი და წიწილები“ გაყიდვის და საზღვარგარეთ გატანის დანაშაულებრივი მცდელობა, — განაცხადა მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ.

გამოძიების ინფორმაციით, ფიროსმანის აქამდე უცნობი ტილო დამნაშავეთა ჯგუფმა კერძო კოლექციონერისგან შეიძინა. მისი საწყისი ფასი ნახევარი მილიონი დოლარი იყო, თუმცა საბოლოოდ 50 ათას დოლარად იყიდეს. დამნაშავეთა ჯგუფის წევრები დაკავებულია.ხელოვნების ისტორიკოსთა ნაწილი ვინჩენტის ამ მოსაზრებას სკეპტიკურად შეხვდა.

## მონა ლიზა ქალი კი არა, ბიჭი ყოფილაო!

**ლეონარდოს** მონა ლიზა იყო არა ფლორენციელი ვაჭრის ცოლი ან მილანის ჰერცოგის ქალიშვილი, არამედ იგი მხატვრის დამხმარე, ახალგაზრდა ბიჭი ჯან ჯაკომო კაპროტი გახლდათ, რომელიც ლეონარდოსთან 1490-1510 წლებში მუშაობდა. ამ ვარაუდს გამოთქვამს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელი სილვანო ვინჩეტი.

მეცნიერის აზრით, ლეონარდომ კაპროტისთან ერთად დახატა იოანე ნათლისმცემლის ორი და ანგელოზის ერთი გამოსახულება. სამივე მათგანი ერთმანეთს ძალიან ჰგავს და ამავე დროს დიდი მსგავსებაა მონა ლიზასთანაც.

ამასთან კაპროტი მხატვრის ეროტიკული ჩანახატების გმირი არაერთხელ გამხდარა. აქედან გამომდინარე, ვინჩენტიმ დაასკვნა, რომ მხატვარსა და კაპროტის შორის, შესაძლოა, სასიყვარულო კავშირი ყოფილიყო.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ კონფლიქტის ზონა

# ევროპელები კულუარულად ცდილობენ, საქართველო აფხაზეთის რაღაცა ფორმით აღიარებაზე მაინც დაითანხმონ

(მეორე გვერდიდან)

ასეთი ნაბიჯებით აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლება ცდილობს, ერთი მხრივ, რუსეთთან, და მეორე მხრივ, საზოგადოებასთან და ოპოზიციასთან ურთიერთობები მოაწესრიგოს. რთული მდგომარეობაა შექმნილი, რაც ბაღაფშის ე. წ. მთავრობაზე უარყოფითად მუშაობს, მაგრამ ვინც არ უნდა მოვიდეს სეპარატისტულ ხელისუფლებაში, იძულებული გახდება, რუსეთის ინტერესებს ანგარიში გაუწიოს.

რაც შეეხება გეგმას — „ჩართულობას აღიარების გარეშე“ — სერიოზული მიდგომა და განხილვა სჭირდება, რადგან ყველაფერზე უარის თქმა იოლად შეიძლება. ამ კუთხით პოლიტიკური მიდგომები უნდა შევცვალოთ. რეალობიდან გამომდინარე, აფხაზეთის მიმართულებით სტრატეგიას ახლებურად მოფიქრება და გააზრება სჭირდება.

**— აფხაზი სეპარატისტების საქართველოსგან გვერდის ავლით ევროსტრუქტურებთან კავშირის თავიდან ასაცილებლად, ევროპისთვის სახელმწიფო სტრატეგიის**




**— სამხრეთ კავკასიაში ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენლის პიტერ სემნების სოხუმში ვიზიტის დროს აფხაზეთის ე. წ. პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთი ევროსაბჭოსთან საქართველოს გვერდის ავლით ითანამშრომლებს, რადგან ჰუმანიტარულ საკითხებში ევროპელების დახმარება სჭირდებათ. როგორ ფიქრობთ, ევროსტრუქტურების მხრიდან სეპარატისტებთან პირდაპირი თანამშრომლობა, თუნდაც ჰუმანიტარულ საკითხებში, რამდენად გამართლებული იქნება?**

— პიტერ სემნები ერთ-ერთ ავტორია პროექტისა „ჩართულობა აღიარების გარეშე“, რომელიც, რომ გავშიფროთ, ნიშნავს — აფხაზეთმა რაც შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებთან, მაგრამ აღიარებული სახელმწიფო არ იყოს. ევროპის პოლიტიკური ელიტის მოდგომა ასეთია — აფხაზეთი რაც შეიძლება ინტეგრირებული უნდა იყოს ევროპაში და მისი რუსეთისგან დისტანცირება უნდა მოხდეს.

ბაღაფშის ე. წ. ხელისუფლებისთვის ევროპასთან დაახლოება განსაკუთრებით ხელსაყრელია, რათა მანევრირების საშუალება ჰქონდეს და არ იყოს მხოლოდ რუსეთზე დამოკიდებული. ამიტომ სეპარატისტები თანახმა არიან ისეთ პირობებზე, რასაც „ჩართულობა აღიარების გარეშე“ ჰქვია.

რასაკვირველია, საქართველოს ხელისუფლებას არ მოსწონს, როცა ევროპელები პირდაპირ კონტაქტობენ აფხაზებთან და, მეორე მხრივ, კულუარულად ცდილობენ, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის რაღაცა ფორმით აღიარებაზე დაითანხმონ, რის არგუმენტადაც აფხაზეთის რუსეთის ორბიტიდან ჩამოშორებას ასახელებენ. მიმაჩნია, რომ ევროპის მხრიდან ეს არგუმენტი მანკიერი და არასწორია, რადგანაც ამით რუსეთს აფხაზეთს ვერ ჩამოაშორებენ.

**ფარგლებში ჰუმანიტარული ღონისძიების განხორციელების შეთავაზება რამდენად შესაძლებელი იქნება?**

— საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია ევროპულ დონორებთან და ევროპულ სტრუქტურებთან ერთად უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ეს პროცესი დამუხრუჭებულია. ამ სტრატეგიას ისეთი სტარტი ჰქონდა აღებული, რომ მეგონა დღეს ან ხვალ დაიწყებოდა მისი ამოქმედება.

თუმცა, სტრატეგიიდან გამომდინარე, რაშიც აფხაზურ მხარესთან თანამშრომლობა ხორციელდება, ერთ-ერთი სფერო ჯანდაცვაა. თანამშრომლობა გამოიხატება იმაში, რომ ქართულ საავადმყოფოებში მკურნალობენ აფხაზეთის ე. წ. მოქალაქეები, ეროვნებით აფხაზები და საქართველოს ხელისუფლება ექსტრემალურ სიტუაციაში გარკვეულ სამედიცინო დახმარებას უგზავნის, მაგრამ ჩვენ დელიკატურობის გამო ვცდილობთ, ეს არ იყოს ძალიან აფიშირებული. ეს არც აფხაზებს უნდათ და თან ჰგონიათ, რომ ამის თაობაზე რუსებმა არ იციან, არადა ყველამ ყველაფერი კარგად იცის. მიუხედავად ამისა, მაინც ამ დელიკატურ შეთანხმებას იცავენ.

ევროსტრუქტურებს კი აფხაზეთთან ნებისმიერ სფეროში პირდაპირ თანამშრომლობა სურთ. ვფიქრობ, არის სფეროები, სადაც შეიძლება იყოს პირდაპირ თანამშრომლობა დამყარებული, მაგრამ არის სფეროები, სადაც ეს დაუშვებელია. უარის თქმა ჩვენი მხრიდან მართებული არ იქნება, თუმცა არც ევროსტრუქტურების მხრიდან იქნება გამართლებული „ფეხების ბაკუნით“ თავისი იდეების რეალიზების მოთხოვნა. საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომების დემონსტრირება და ვითარების სერიოზული ანალიზი უნდა მოხდეს.

ესაუბრა
**თამარ მამუკაშვილი**

◎ კუდა ხარი თავისთვის არ იყო...

# ხელისუფლება - სხვისთვის ჰუმანიტარი, ჩვენთვის - დედინაცვალი

**ამბავი კუდა ხარისა, რომელიც თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერიებდა, ზედგამოჭრილია ჩვენი ხელისუფლებისთვის, რომელიც თავის არაორდინარული თუ სულაც სულელური ქმედებებით ხშირად თავს ისასაცილოებს. აი ქვეყანა კი მართლა დაამსგავსა კუდა ხარს, რომელიც ისე გამოხრა და გამოასავათა, რომ საცაა კლდეზე გადაიჩეხება.**

კუდა ხარის ამბავი შეიძლება არც გამხსენებოდა, თვალწინ ქვეყნის დაქცეული ეკონომიკის, გაუდაბურებული სოფლებისა და გალატაკებულ-დამშეული მოსახლეობის სურათი რომ არ დამდგომოდა. ისედაც გაძვალტყავებული ქართული სოფლები შარშანდელმა გვალვამ ისეთ დღეში ჩაყარა, გლეხებს კაპიკის საღირალი აღარ შეარჩინა, მაგრამ ხელისუფლება ისეთი გულქვა გამოდგა, მათ დასახმარებლად ერთი თეთრიც ვერ გაალებინა. ამ დროს პრესის ფურცლებიდან ვიგებთ, რომ შარშან საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გაჭირვებული ქვეყნების დასახმარებლად მილიონობით თანხები გადაირიცხა. კერძოდ, აღნიშნული ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით ჰუმანიტარული დახმარებები გაიგზავნა ტაჯიკეთში, ჰაიტიზე, პაკისტანსა და ტუვალუში, რისი მიზეზიც თურმე სტიქიური უბედურებები და ბუნებრივი კატაკლიზმები გახდა.

ვიცი მეტყვიან, გაჭირვებულისთვის ხელის გაწვდა რა საძრახისია, პირიქით, დიდ მადლობას იმსახურებს ჩვენი ხელისუფლება სხვათა მიმართ ასეთი გულმხურვალების გამოჩენისა და უმწიკვლოდ გაღებული ქველმოქმედებისთვისო. რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, აბა ვის მოუტრიალდება ენა ქველმოქმედების საწინააღმდეგოდ, მაგრამ როცა ხედავ, რომ შენს ხელისუფლებას უცხოთა გასაჭირზე გული უჩუყდება, ხოლო საკუთარი ხალხის სიდუხჭირე ერთ ადგილზე ჰკიდია, ამას ცოტა სხვანაირი სუნი ხომ არ უდის? ბარემ გავშიფროთ და ვთქვათ, საქართველოს მთავრობა ყოველივე ამას პიარის მიზნით, ანუ იმიტომ ხომ არ აკეთებს, რომ მსოფლიოს თავი უკეთილშობილეს ქველმოქმედად და ჰუმანიტარად მოაჩვენოს?

სააკაშვილის ხელისუფლებამ იმხელა საპიარო გამოცდილება დააგროვა, ვფიქრობთ, ამ კითხვაზე, რაც უნდა საჭოჭმანო იყოს, პასუხის გაცემა არავის გაუჭირდება. ამასთან დაკავშირებით, სპეციალისტთა აზრი თუ გაინტერესებთ, ისინი ამდაგვარად მსჯელობენ: **არსებობენ მსოფლიოში დონორი და რეციპიენტი, ძლიერი და გაჭირვებული ქვეყნები (ამ უკანასკნელთ სხვები ეხმარებიან). შეუძლებელია ერთდროულად ძლიერიც იყო და გაჭირვებულიც. ჩვენ კი, როგორც ირკვევა, ერთიც ვართ და მეორეც(!).**

და რადგან ორივე ვართ, ვაკეთებთ გამონაკლისს, ერთი ხელით ვიღებთ 4,5-მილიარდიან დახმარებას და მეორე ხელით გავცემთ სხვათა გულის მოსანადირებლად. „უხვად გასცემდის“ პრინციპით რომ არ მუშაობდეს ნაცების ხელისუფლება, სააკაშვილს ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გადაკარგული ტუვალუ საიდან „დაესიზმრებოდა?! რას იზამ, **ასეთია ქართული ხელგაშლილობის „ტრადიცია“, რომელსაც თვით მისი უდიდებულესობა, ქვეყნის პრეზიდენტიც ვერ გაექცევა. ჰოდა, რადგან მიზეზი აქვს, სააკაშვილი ხელიდან არ უშვებს ამ შესაძლებლობას და საკუთარი ფონდიდან (და არა საკუთარი ჯიბიდან), აგრეთვე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაუხარჯავს და შეუქმელს არაფერს აჭაჭანებს, თანაც ამას ისე აკეთებს, რომ ამის თაობაზე ინფორმაცია საჯაროდ არ გახმაურდეს.**

პრეზიდენტს რატომღაც ავიწყდება, რომ ყველას ყველაფერს ვერ გამოაპარებს და დადგება დრო, როცა ქარს გატანებული თანხებისთვის პასუხს აგებს. **„სამი წლის განმავლობაში, ეროვნული უშიშროების საბჭოს საიდუმლო განკარგულებით,** — ამბობს „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ეროვნული ბანკის პრეზიდენტყოფილი **ნოდარ ჯავახიშვილი, — პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან დაახლოებით 65 მილიონი**



**დოლარი დაიხარჯა. ეს მაშინ, როცა თავად ეროვნული უშიშროების საბჭოს ოფიციალური ბიუჯეტი დაახლოებით 3 მილიონია.** ფაქტობრივად ეს არის საკონსულტაციო ორგანო, რომელსაც არ ევალება არც ტანკების შემოტანა და არც თვითმფრინავების შესყიდვა. ის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და სხვა თანამდებობის პირთა შეხვედრების მომწყობი ორგანოა, რასაც ფული, მით უმეტეს ათეული მილიონი ნამდვილად არ სჭირდება. **გამიჩნდა „გონივრული ეჭვი“, რომ გასაიდუმლოებულია ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული ქმედებებისთვის დახარჯული თანხები. ამიტომაც ვაპირებ, წერილობით მივმართო ნდობის ჯგუფს, რომ გაარკვიოს, რაში დაიხარჯა 65 მილიონი“.**

აი ასე, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში იტყვიან, უპრაგონოდ, ხალხისგან მოფარებულად იხარჯება დიდძალი თანხები, პრეზიდენტი და ხელისუფლების მაღალჩინოსნები კი გვარწმუნებენ, ქამრები ისე მაგრადა გვაქვს შემოჭერილი, წინასწარ შეუსწავლელად და გაუანგარიშებლად ბიუჯეტიდან კაპიკიც არ გადაგვივარდებაო.

ყველას გვახსოვს, თავის დროზე ქამრების შემოჭერის იდეა საქართველოში ლიბერალური ეკონომიკის მამამთავარს კახა ბენდუქიძეს დაებადა, მაგრამ იმის გამო, რომ მსოფლიო ბაზარზე მისი მუცლის სარგო ქამარი ვერ აღმოაჩინეს (სხვათა შორის, იმ ქამრის ძებნაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკიც იყვნენ ჩართულნი), ეს დიდი მამულიშვილური საქმე სამარცხვინოდ ჩაუვარდათ. ამჯერად ბატონი კახას პრობლემა აღარ იდგა და ქამრები კვლავ შემოუჭერელი რატომ დარჩათ, ბევრისთვის დღესაც გაუგებარია. მათ შორის ისეთი მცოდნე და გამოცდილი პოლიტიკოსისათვის, როგორიც „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძეა.

„რაში გამოიხატება ქამრების მოჭერა, არ ვიცი, — აცხადებს გამყრელიძე, — რადგან ყველა ხარჯი, მომუშავეთა რიცხოვნობა, სახელფასო და სამივლინებო ხარჯები, ასევე, არაკლასიფიციური ხარჯები, შემცირების ნაცვლად გაზრდილია“. **მისი მონაცემებით, ხელისუფლებაში ნებისმიერი დონის ჩინოვნიკს, მინისტრსა თუ დეპარტამენტის თავმჯდომარეს ყოველთვიურად ხელფასი და პრემია 19 ათას ლარზე მეტი გამოსდის. 2009 წელს იქ მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 941 000 ლარი, 2010 წელს — მილიარდ 11 მილიონი ლარი, ხოლო 2011 წელს მან უკვე მილიარდ 89 მილიონს გადააჭარბა. ახლა ესენი თურმე 1000 ელექტრომობილის შეძენას აპირებენ, რაც უხეში გადაანგარიშებით, სულ მცირე 40-45 მილიონი ლარის ტოლფარდია.** „ელექტრომობილების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ჩვენი, რიგითი ადამიანების გაჭირვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასხდებიან თუ არა ერთად ასეთ მანქანებზე ვერონიკა ქობალია და გოგა ხაჩიძე,“ — ამბობს „მემარჯვენეთა“ ლიდერი.

ვერ გეტყვით, მთავრობას ამაზე რა პასუხი აქვს, მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენი ეკონომიკის მდგრადი მღრნელი ინფლაციისა და ფასების კატასტროფულად ზრდის პირობებში ტუნისური და ეგვიპტური ჯანყი საქართველოსაც ემუქრება? ეგვიპტის „ფარაონსაც“ ეგონა, რომ ქამარი მაგრად ჰქონდა შემოჭერილი, მაგრამ სინამდვილეში ფომფლეე აღმოაჩნდა. იქნებ ზოგს ამ მაგალითის მოშველიება უადგილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ სიფრთხილეს რომ თავი არა სტკივა, ვფიქრობთ, ამის შეხსენება ქართველ ხელისუფალთ ზედმეტი არც ამჯერად მოუვათ.

**ოთარ ხუციშვილი**

⦿ პარალელები

# ევროპისკენ – სინგაპურის გავლით...

## მიზნის მისაღწევად მარტო სურვილი კი არა, საქმეა საჭირო

***გაუთავებელი ტრაბახით დაუღლელი ჩვენი ხელისუფლება, რომელიც საქართველოს წამდაუწუმ სინგაპურს ადარებს, ჩვენში იქაური ცხოვრების ზოგიერთი წესის დამკვიდრებას ლამობს, რაც, სიმართლე უნდა ვთქვათ, ნამდვილად მისასალმებელია, თუნდაც საზოგადოებრივი სისუფთავის მხრივ, მაგრამ როცა ლაპარაკი იწყება საქართველოს „სინგაპურიზაციაზე“, ეს, სხვა თუ არაფერი, სევდიან ღიმილს იწვევს. საქართველოს გეზი სინგაპურიზაციაზე დიდი ხნის აღებული რომ აქვს, ყველას კარგად მოგვეხსენება. ჩვენს ხელისუფლებას, რომ იტყვიან, „ძილს უფრთხობს“ სინგაპურის ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპი, იქაური თავისუფალი სავაჭრო გარემო და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც-რაღაცეებში „გავსინგაპურდით“, უმთავრესში, კერძოდ კი მცირე და მიკრო ბიზნესისადმი მიდგომაში, მისგან ძალიან შორს ვართ და ეს სიშორე საქართველოს სინგაპურიზაციის გზაზე გადაულახავ წინააღმდეგობად გვესახება.***

***ზოგადად თუ ვიტყვით, სინგაპურის გარდა მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყანა მცირე და მიკრო ბიზნესს ხელს უწინარესად იმიტომ უწყობს, რომ ესაა უდიდესი სოციალური დატვირთვის სფერო, თუმცა ამის გაგონება საქართველოს ხელისუფლებას არამც და არამც არ სურს, თორემ ამ ხნის მანძილზე თუნდაც ერთ ქმედით ნაბიჯს მაინც გადადგამდა ამ მიმართულებით.***

***ისე კი, კაცმა რომ თქვას, სინგაპურში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე დაკვირვებაში, იქიდან საქართველოს რეალობას მისადაგებული ელემენტების გადმოღებაში, თავისთავად, ცუდი არაფერია, პირიქით, მისასალმებელიცაა, ოღონდ ამას მარტო პიარ-კომპანიის სახე კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ რეალური შედეგიც უნდა მოყვეს.***

***საქართველოსა და სინგაპურს შორის „არაპირდაპირი“ „კავშირების“, არსებული პარალელებისა თუ აცდენილი სიბრტყეების არსებობის ნიუანსებში გასარკვევად, რაც, ძირითადად, ნებისმიერი ქვეყნისთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს ეხება, როგორიცაა მცირე მეწარმეობა, რამდენიმე კითხვით აკადემიურ დოქტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის დირექტორს თამაზ ვაშაკიძეს მივმართეთ.***



***— უწინარესად, რა პარალელების გავლება შეიძლება საქართველოსა და სინგაპურს შორის?***

— თავად განსაჯეთ, თუ რამდენად „პარალელურია“ ის გარემოება, რომ მოსახლეობის ოდენობით საქართველოს ტოლი და ჩვენზე ასჯერ ნაკლები ფართობის მქონე სინგაპურში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება წელიწადში 26 ათასი დოლარია, ჩვენში კი ეს მაჩვენებელი ათჯერ ნაკლებია!

ამასთან, სინგაპურის ნავსადგური ტვირთბრუნვით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია, რაც, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას არანაირი წიაღისეული არა აქვს, უდიდესი მიღწევაა. ნავსადგურს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია ნავთობპროდუქტების გადამუშავების მხრივ, ხოლო თანამედროვე ელექტრონიკისა და მაკომპლექტებული ნაწილების წარმოების მხრივ ეს ერთი ციდა ქვეყანა მსოფლიოში მეოთხეა.

საყოველთაო აზრით, ბიზნესის საწარმოებლად სინგაპური მსოფლიოში ერთ-ერთი საუცხოო ადგილია, რაც პოლიტიკური სტაბილურობით, ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარების დონითა და სრულყოფილი სამართლებრივი სისტემის არსებობითაა განპირობებული. სინგაპურში მოქმედი საგადასახადო სისტემა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე არის ორიენტირებული. ცალკე აღსანიშნავია, ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ მოსახლეობის 75 პროცენტი აქ განთავსებული მსოფლიოს 3,5 ათასი უმსხვილესი კომპანიის ფილიალისა თუ ადგილობრივი საწარმოს აქციის მფლობელია.

***— ცნობილია, რომ სინგაპურში საუკეთესო პირობებია შექმნილი მცირე ბიზნესის განვითარებისათვის, რასაც, სამწუხაროდ, საქართველოზე ვერ ვიტყვით. რა გვიშლის ხელს „ქართული მცირე ბიზნესის სინგაპურიზაციაში“?***

— შარშან, წლის დამდეგს, მედიაკორპორაცია CNN Time Warner Group-ის გამოკვლევის შედეგებით, რომელიც „მცირე ბიზნესის მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებას“ ეხებოდა, სინგაპურმა მე-5 ადგილი დაიკავა ახალი ზელანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ავსტრალიის შემდეგ.

გამოკვლევისას ყურადღებას აქცევდნენ საგადასახადო კანონმდებლობის ნიუანსებს, ახალი ბიზნესის რეგისტრირებისთვის საჭირო დროს და სხვ. უნდა ითქვას, რომ **ამ ბოლო პარამეტრის მიხედვით საქართველო რამდენიმე წელიწადია მსოფლიოში ქვეყნების მეორე ათეულის სათავეშია, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი მიღწევაა.**

ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგის კვლევებში ამერიკული ინსტიტუტი CATO 26 მაჩვენებელს ითვალისწინებს, მათ შორის გადასახადების ოდენობას, ეკონომიკაში ხელისუფლების ჩარევის ხარისხს, ბიზნესისადმი სასამართლო სისტემის დამოკიდებულებას და ა.შ. 2009 წლის მონაცემებით, რომელიც The Global Picture-მა გამოაქვეყნა, **გადასახადების გადახდის სიმარტივის მხრივ, 147 ქვეყანას შორის, საქართველო 110-ე ადგილზე იყო, გადასახადების რაოდენობით წელიწადში — 6 გადასახადითა და 12 მოსაკრებლით — 92-ე ადგილზე, გადასახადების გადასახდელად დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო დროის მიხედვით — 145-ე ადგილზე, ხოლო მოგების გადასახადის ოდენობით — 75-ე ადგილზე.**

აღსანიშნავია, რომ ამ სიაში ერთი გადასახადით (!ძ პირველ ადგილზეა მალდივის კუნძულები, სინგაპური კი, ხუთი გადასახადით, მე-5 ადგილზე.

***— რით განსხვავდება და რა მსგავსება აქვს მცირე ბიზნესს სინგაპურსა და საქართველოში?***

— შარშანდელი სექტემბრის მონაცემებით, სინგაპურის სამეწარმეო სფეროში 130 ათასი მცირე საწარმო მოქმედებდა, რაც მათი მთლიანი ოდენობის 92 პროცენტია. თუმცა უნდა ითქვას, რომ მცირე ბიზნესის წილი სინგაპურში, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში, 25 პროცენტს არ აღემატება (საქართველოში, სხვადასხვა მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 8-14 პროცენტს არ ჭარბობს, რაც შეეხება დასაქმებას, **სინგაპურის მცირე ბიზნესში დასაქმებულია მომუშავეთა 7 პროცენტი, ეს კი, პირველ ყოვლისა, მის უდიდეს სოციალურ მნიშვნელობას მოწმობს, რაც, ურიგო არ იქნება, რომ საქართველოს ხელისუფლებამაც შეიგნოს.** მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ოფიციალური წერილი წარუდგინა, სადაც გარკვევით წერია, რომ მსგავსი აღრიცხვა ჩვენში არ წარმოებს.

არადა, ჩვენი კვლევების შედეგებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **საქართველოში, 120 ათას სამეწარმეო სუბიექტს შორის რეგისტრირებულია 85-90 ათასი მცირე საწარმო, სადაც, ძველი კანონმდებლობით, დასაქმებულია არა უმეტეს 25 კაცისა, ხოლო მათი წლიური ბრუნვა 500 ათას ლარს არ აღემატება.**

წლეულს 1 იანვრიდან ძალაში შესულ საგადასახადო კოდექსში (მუხლები 84-89ძ მიკრო და მცირე საწარმოთა სტატუსების განმსაზღვრელი ისეთი კრიტერიუმებია დაკანონებული, რაც მცირე ბიზნესისადმი მათ ავტორთა კეთილგანწყობაში დიდი ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა. განა ახალი საგადასახადო კოდექსის შემდგენელებმა, რომლებიც, კაცმა რომ ჰკითხოს, ევროპისკენ მიემართებიან, თან ჩვენ მიგვიძღვიან, არ უნდა იცოდნენ, რომ **ევროპაში უკვე 15 წელია მცირედ ითვლება ის საწარმო, სადაც 10-49 კაცი მუშაობს, ხოლო წლიური ბრუნვა 7 მილიონი ევროა? 2005 წლის 1 იანვრიდან კი ძალაში შევიდა ახალი განსაზღვრებები: მცირედ ითვლება საწარმო, სადაც 10-49 კაცია დასაქმებული, ბრუნვა კი 10 მილიონ ევროს შეადგენს; მიკროსაწარმოში დასაქმებულია 1-9 კაცი, ბრუნვა კი „მხოლოდ“ 2 მილიონი ევროა!**

შედარებისთვის: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „ანალიტიკოსების“ განსაზღვრით, **ჩვენში მცირეა ის საწარმო, რომლის წლიური ბრუნვაა 100 ათასი ლარი, მიკროსაწარმოს ბრუნვა კი 30 ათას ლარს არ უნდა სჭარბობდეს.** განა ეს არის მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ეს არის „რევოლუციური“ საგადასახადო კოდექსი? ახალი კოდექსის „მამებმა“ სრულიად უგულებელყვეს „მცირე ბიზნესის კომიტეტის“, „საქართველოს თავისუფალი მცირე მეწარმეთა ასოციაციის“, „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელთა მიერ შეთავაზებული საკანონმდებლო ინიციატივები.

სიტყვამ მოიტანა და, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ **სინგაპურის ხელისუფლებას, საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, ღრმად აქვს გააზრებული, რომ არაკონკურენტიანი მეწარმე სახელმწიფოს არაკონკურენტუნარიანობას წარმოაჩენს. მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად სრულიად სინგაპურის ერთიანი სააგენტოა შექმნილი, რომელიც მეწარმეთა მხარდასაჭერად ასზე მეტ (!) სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დამწყებ ბიზნესზეა გამახვილებული.** ჩვენში კი მცირე მეწარმეებს, ხატოვნად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავთ — საგადასახადო ინსპექტორი, რომელიც, სინამდვილეში, მათი შეურიგებელი მტერია.

***— რა საერთოა და რა განსხვავებაა საქართველოსა და სინგაპურს შორის მცირე ბიზნესის დაკრედიტების მხრივ?***

— 2001 წლიდან მოყოლებული მათთვის, ვინც ახალი ბიზნესის წამოსაწყებად ბანკიდან სულ მცირე ოთხწლიან კრედიტს აიღებს, სინგაპურში წლიური განაკვეთი 5 პროცენტის ოდენობით დადგინდა, ხოლო უფრო გრძელვადიანებზე — 6,5-პროცენტიანი. **მთავარი მაინც ის არის, რომ კრედიტებს სახელმწიფო აზღვევს, ხოლო ათ კაცზე ნაკლებ რიცხოვნული მიკრო-ფირმებისთვის, კრედიტების გაცემა კიდევ უფრო მეტად შეღავათიანია.**

საქართველოში კი მარტო იპოთეკური კრედიტის განაკვეთი წლიური 11 პროცენტია, ხოლო მცირე ბიზნესის დაწყებისთვის მინიმალური განაკვეთი თვეში 1,5 პროცენტია, რაც წლიური 18 პროცენტია. ამასთან, **გულგასახეთქი გარემოება ისაა, რომ ამ „მევახშურ“ პროცენტს იღებენ არა კომბანკები, არამედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთა არსი... მცირე ბიზნესის ხელშეწყობაა (?!).**

***— ნებისმიერი საწარმოს წარმატებული მუშაობა მნიშვნელოვნად კადრების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ტექნიკის სწრაფი განვითარების პირობებში როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი იმავე სინგაპურში და ჩვენში?***

— სინგაპურში კადრების გადამზადების ხარჯის 90 პროცენტს სახელმწიფო კისრულობს. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა უშუალოდ საწარმოშია შესაძლებელი. ჩვენში კი, ამჟამად ასე მოდური ტურისტული მენეჯერის მომზადების ორთვიანი კურსი, სულ მცირე, 1200 ლარი ღირს, რომელიც ან თავად პიროვნებამ, ანდა მისმა ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს.

***— თუ შეიძლება „ჩვენი“ და „იმათი“ გადასახადების მიახლოებითი შედარება მაინც?***

— ჩვენთან შედარებით, სინგაპურში სხვაობა გადასახადების რაოდენობასა და მათ განაკვეთებს შორის პოლუსურია. რამდენიმე წლის წინათ იქ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგძ განაკვეთი 3 პროცენტის ოდენობით დააწესეს, რამაც იქაური ბიზნესმენები საშინლად... გაანაწყენა (!!ძ და მას „ტყავის გაძრობა“ უწოდეს. აქვე, მოკლედ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენში დღგ-ს განაკვეთი... 18 პროცენტია (?!ძ.

სინგაპურში, ძირითადი გადასახადია **საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ხელფასის (შემოსავლის) 15-20 პროცენტს შეადგენს. ამასთან, დამწყები ფირმებისთვის შემოღებულია საგადასახადო არდადეგები (რაც ჩვენს მეწარმეებს ყველაზე ტკბილ სიზმარშიც არ დაესიზმრებათ!), განსაკუთრებით ეს იმ დარგებშია გავრცელებული, რომელთა განვითარება ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებშია. როგორ გასაოცარიც უნდა იყოს, არდადეგები შესაძლოა... 15 წლიანდაც კი გაგრძელდეს (!!!). ეს, უმეტესად, იმ საწარმოებს ეხება, რომლებიც ახალ და ნანოტექნოლოგიებს ნერგავენ. მეტიც: 15-წლიანი არდადეგების შემდეგ ეს კომპანიები კიდევ 5 წლის განმავლობაში დადგენილი საგადასახადო განაკვეთის ნახევარს იხდიან.** ცალკე აღსანიშნავია ის, რომ 2010 წლიდან მოქმელებული სინგაპურში ამოქმედდა ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზებისთვის“ განკუთვნილი პროგრამა, რომელიც მათთვის საგადასახადო ხარჯის 50-პროცენტიან ანაზღაურებას ითვალისწინებს.

***— ცნობილია, რომ ერთ სულ მოსახლეზე ტურისტების რიცხოვნობით სინგაპური ისეთ საქვეყნოდ ცნობილ „ტურისტულ“ ქვეყნებსაც კი უსწრებს, როგორებიცაა საბერძნეთი და ესპანეთი. საქართველოში ბოლო დროს ტურიზმის განვითარება ლამის შიდა პოლიტიკის პრიორიტეტადაა მიჩნეული. ამ მხრივ რამე პარალელების გავლება ხომ არ შეიძლება საქართველოსა და სინგაპურს შორის?***

— ესპანეთი და, განსაკუთრებით, საბერძნეთი, სადაც 10 მილიონ მოსახლეზე წელიწადში 16 მილიონი ტურისტი მოდის, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ეკონომიკის განვითარებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან, თანაც მთელ ევროზონაში ყველაზე დოტაციურნი არიან. ამ მხრივ, სინგაპურის მაგალითი მოწმობს, რომ **ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაში ჩადებული სახსრების სულ მცირე 15 პროცენტი მაინც ტურისტული აქსესუარების ადგილობრივ წარმოებებში უნდა იყოს დაბანდებული,** რაც მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარებისა და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების კარგ წინაპირობას შექმნის.



ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს მთავრობას მოუწოდებენ, დაიცვას გამოსახლების საერთაშორისო სტანდარტები

**AMNESTY INTERNATIONAL შეშფოთებულია იმის გამო, რომ თბილისში 20-დან 24 იანვრამდე ჩატარებული ზოგიერთი გამოსახლება არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. კონკრეტულად კი AMNESTY INTERNATIONAL შეშფოთებულია იმის გამო, რომ ხელისუფლებამ გამოსახლებულებს წინასწარ არ გაუგზავნა შესაბამისი შეტყობინება, ვერ უზრუნველყო გამოსახლებამდე თითოეული შესაბამისი პირისთვის ფინანსური დახმარება და ვერც მეთვალყურეთა სრული და შეუფერხებელი მონაწილეობა ამ პროცესში. AMNESTY INTERNATIONAL შეშფოთებულია იმ ცნობებითაც, რომ გამოსახლებულთათვის მთავრობის მიერ შეთავაზებული ყველა ალტერნატიული თავშესაფარი ბოლომდე არ შეესაბამება სათანადო საცხოვრებელი ადგილის სტანდარტებს**

Amnesty International მიესალმა 2010 წლის ოქტომბრის ოპერირების სტანდარტული პროცედურების მიღებას (SOPsძ (ეს პროცედურები არეგულირებს გამოსახლებასა და ბინებში განთავსების სტანდარტებსძ, მაგრამ შეშფოთებულია იმით რომ ეს მოთხოვნები ამ ბოლოდროინდელი გამოსახლებისას, როგორც სჩანს, ბოლომდე არ იყო დაცული.

20-დან 24 იანვრამდე დაახლოებით 600 იძულებით გადაადგილებული პირი გამოასახლეს დაახლოებით 22 შენობიდან. დევნილთა უმეტესობა ამ ბინებში 2008 წლის ომის შემდეგ აფარებდა თავს, მაგრამ ბევრი ამ ადამიანთაგან 1990-იანი წლების შედეგად იქცნენ იძულებით გადაადგილებულ პირებად. საქართველოს მთავრობის განცხადებით, შენობები დაკავებული იყო შესაბამისი სახელისუფლებო ნებართვის გარეშე.

გამოსახლებაზე სამთვიანი მორატორიუმის შემდეგ, დეკემბრის დასაწყისში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გამოსცა წერილობითი შეტყობინება 22 შენობის მცხოვრებთა დაგეგმილ გამოსახლებაზე და დაკავებული ფართობების გათავისუფლება 10 დღის ვადაში მოითხოვა. ამავე შეტყობინებაში იყო ნათქვამი შესაბამის დახმარებაზე.

20 იანვრის დილას დაახლოებით 100 ოჯახი გამოასახლეს ორხევის საბაჟოს დეპარტამენტის ყოფილი შენობიდან და ბაგების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლიდან. არსებული ცნობების თანახმად, გამოსახლება ორხევში 7:00 საათზე, ხოლო ბაგებში 7:30 საათზე დაიწყო. იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ გამოკითხვების თანახმად, რომლებიც Amnesty International-მა მოიპოვა, პოლიციის ოფიცრები ორივე შენობას 19 იანვარს გვიან ღამით ეწვივნენ, რათა მობინადრეებისთვის მეორე დილით დაგეგმილი გამოსახლების შესახებ ეცნობებინათ.

თამაზმა, დევნილმა ცხინვალიდან, რომელიც 2008 წლის ომის დროს რეგიონიდან გამოქცევის შემდეგ საბაჟო დეპარტამენტის ყოფილ შენობაში ცხოვრობდა, Amnesty International-ს უთხრა:

„პოლიცია დაახლოებით შუაღამეს მოვიდა და გვითხრა, რომ უნდა წავიდეთ... ისინი დილის 7:00 საათზე დაბრუნდნენ და ჩვენი ყველა ნივთი გარეთ გაიტანეს. მე ჯერაც არ მიმიღია ფულადი დახმარება სახელმწიფოსგან და ამ მომენტისთვის წასასვლელი არსად მაქვს. ჩემს ცოლთან და ორ ვაჟთან ერთად გორში გავჩერდი ნათესავებთან. არ ვიცით, როდის მივიღებთ დაპირებულ დახმარებას“.

დღევანდელ ეტაპზე ფინანსური დახმარების მოთხოვნის უფლება მხოლოდ 2008 წლის ომის შედეგად გადაადგილებულ პირებს ჰქონდათ, მაგრამ ის იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებსაც ეკუთვნოდათ და რომლებიც შერჩეული იყვნენ ფინანსური დახმარებისთვის (10 000 აშშ დოლარიძ, გამოსახლების დროს აცხადებენ, რომ გამოსახლებამდე არ მიუღიათ ფინანსური დახმარება. მეთვალყურეებმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან, რომლებიც საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი შენობიდან თვალყურს ადევნებდნენ გამოსახლების პროცესს, განაცხადეს რომ გამოსახლების მომენტისთვის, ოთხი ოჯახის თქმით, მათ არ მიუღიათ დაპირებული ფინანსური დახმარება. სხვა მეთვალყურეები, რომლებსაც ინტერვიუ ჩამოართვა Amnesty International-მა, ასევე იტყობინებოდნენ ანალოგიური საჩივრების შესახებ იძულებით გადაადგილებულ პირთა მხრიდან.



Amnesty International-მა ასევე მიიღო ინფორმაცია იმ მეთვალყურეთა ჯგუფიდან, რომლებიც გამოსახლებას SOPS-ის მოთხოვნათა კონტექსტში აკვირდებოდა. ამ ინფორმაციის თანახმად, პოლიცია გამოსახლების პროცესის დროს, წინაღუდგა მათ შესვლას შენობებში და ბევრ შემთხვევაში, ფერხდებოდა მათი თავისუფალი კონტაქტი გამოსახლებულებთან, განსაკუთრებით პოლიციის ოფიცრის, ან სამინისტროს წარმომადგენლის დასწრების გარეშე. Amnesty International-მა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს დროებით გადაადგილებული პირები „მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმებისადმი დაუბრკოლებელი და მყისიერი ხელმისაწვდომობით“ ისე, როგორც ამას ითხოვს SOPS.

თბილისის დროებითი თავშესაფრებიდან იმ გამოსახლებულებს, რომელთაც ეკუთვნით სათანადო საცხოვრებლი, დაბინავება სამეგრელოს, კახეთისა და იმერეთის რეგიონების სოფლებში შესთავაზეს. იმ დროს, როდესაც ზოგიერთმა დევნილმა თანხმობა განაცხადა გადასახლებაზე, ბევრი შეშფოთებულია იმით რომ დედაქალაქიდან წასვლა სერიოზულად შეუშლის ხელს მათი ცხოვრების რიტმს და საარსებო სახსრების შოვნის საშუალებებს. იმ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, რომლებსაც Amnesty International-ს ესაუბრა, განაცხადეს, რომ არ დათანხმდნენ სოფლებში გადასახლებას, სადაც მათი თქმით, შეექმნებათ ძირითადი ინფრასტრუქტურისა და საბაზისო მომსახურების დეფიციტი.

ამ შეშფოთებას იზიარებენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც არ გამორიცხავენ, რომ იმ დროსაც კი, როდესაც შეთავაზებული ალტერნატიული ბინები ადეკვატურია, მომსახურების და ინფრასტრუქტურის დეფიციტი პრობლემად რჩება. სახალხო დამცველის ოფისმა ანალოგიური შეშფოთება გამოთქვა და ბოლოდროინდელი კვლევის შედეგებით დაასკვნა, რომ „არსებობს ბევრი პრობლემა, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა იქონიონ იძულებით გადაადგილებულთა მდგომარეობაზე“... მაგალითად ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ ფოცხო-ეწერში მედიკამენტების შესაძენად უნდა წავიდნენ ჯვრის დასახლებაში, რადგან ფოცხო-ეწერში აფთიაქები არ არსებობს. სოფელ აბაშისპირში, ბავშვებმა ფეხით უნდა გაიარონ დაახლოებით ორი კილომეტრი, რადგან სოფელში არ არის სკოლა და არ დადის ავტობუსი, რომელიც ბავშვებს სკოლამდე მიიყვანს. თორსა-დღვაბაში და აბაშისპირში, პრობლემებია წყლით მომარაგებაში“.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, გამოსახლება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ როგორც უკანასკნელი ზომა, როდესაც სხვა შესაძლო ალტერნატივები შესწავლილ იქნა დაზარალებულ ჯგუფთან რეალური კონსულტაციების მეშვეობით.

ხელისუფლების ვალია უზრუნველყოს, რომ გამოსახლებულმა პირმა მიიღოს ადეკვატური შეტყობინება, ხელი მიუწვდებოდეს თავისი უფლებების სამართლებრივ დაცვაზე, ადეკვატურ ალტერნატიულ საცხოვრებელზე და კომპენსაციაზე. ისინი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი გამოსახლების შედეგად პირები არ დარჩნენ უსახლკაროდ, ან არ იქცნენ მოწყვლადად ადამიანის უფლებათა სხვა სახის დარღვევათა კონტექსტში.

Amnesty International ახსენებს, რომ საცხოვრებელი ალტერნატივა უნდა უზრუნველყოფდეს ადეკვატურ საცხოვრებელ სტანდარტებს, მფლობელობის უსაფრთხოებას, ძირითადი მომსახურებისა და საარსებო შემოსავლების ხელმისაწვდომობას. კონკრეტულად კი Amnesty International საქართველოს მთავრობას მოუწოდებს:

**— დარწმუნდეს, რომ შესაბამის პირებს წინასწარ გადაეცათ შესაბამისი ინფორმაცია გადასახლების ზუსტი თარიღის შესახებ, უზრუნველყოს ნამდვილი კონსულტაციები და იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა სტაბილურ საცხოვრებელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების განხორცილების პროცესში;**

**— უზრუნველყოს გამოსახლება ეროვნულ და საერთაშორისო უფლება დაცვით სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში და გამოსახლებულებისთვის შესაფერისი ფინანსური დახმარებისა და ადეკვატური საცხოვრებლის გადაცემა, როგორც გადაუდებელი საჭიროება;**

**— დარწმუნდეს, რომ მეთვალყურეებს აქვთ გამოსახლების პროცესზე სრული და შეუფერხებელი მეთვალყურეობის საშუალება;**

**— დარწმუნდეს, რომ გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლები კოლექტიურ ცენტრებსა და ახალ დასახლებებში აკმაყოფილებს დასახლებული ადგილის კრიტერიუმებს, აქვს სათანადო მდებარეობა და არსებობს წყლის, სანიტარიული და სხვა საბაზისო ინფრასტრუქტურის მოხმარების პირობები.**

გამოსახლება, რომელიც გასული წლის აგვისტოში დაიწყო, მასობრივი ადგილნაცვალობის პრობლემის მოგვარების ძალისხმევას ასახავს. ეს პრობლემა 1990-იანი წლების დასაწყისის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კონფლიქტებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგია. საქართველოში 1990-იანი წლებისა და 2008 წლის კონფლიქტების შედეგად დაახლოებით 246 000 იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც რეგიონებსა და თბილისში, კოლექტიურ ცენტრებში, დროებით თავშესაფრებსა და კერძო ბინებში ცხოვრობენ.

დაახლოებით 5000 იძულებით გადაადგილებული პირი 2010 წლის ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ძალით გამოასახლეს მათი საცხოვრებელი ადგილებიდან. გამოსახლებამ დაარღვია საერთაშორისო სტანდარტები და რამდენიმე შემთხვევაში ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ეს ადამიანები ალტერნატიული თავშესაფრით ან კომპენსაციით.

აგვისტოში მთავრობამ შეაჩერა შემდგომი გამოსახლება, რადგან ელოდებოდა განსახლების ახალი წესების მიღებას, რაც მოხდა კიდეც 2010 წლის სექტემბერში.

გამოსახლებას, რომელიც 20 იანვარს განახლდა, თან ახლდა გადაადგილებულ პირთა გამოსვლები გამოსახლების წინააღმდეგ. მათ მხარი დაუჭირა ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ.

იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობით, რომლებიც გამოსახლების პროცესს აკვირდებოდნენ, მხოლოდ 10 პროცენტზე ნაკლებმა დევნილმა აირჩია რეგიონებში ალტერნატიულ საცხოვრებელში გადასვლა.

AMNESTY INTERNATIONAL

## დედამიწის ზურგზე



**ავსტრალიას წყალდიდობის შემდეგ თავს დაატყდა „საუკუნის ციკლონი“ იასი**

უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი ციკლონი თავს დაატყდა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. საათში 290 კილომეტრი სიჩქარის ქარი სახლებს აგლეჯდა სახურავებს, თხრიდა ხეებს და ელექტროგადამცემი ხაზების საძირკვლებს. სახიფათო რაიონებიდან ევაკუირებულია დაახლოებით 30 ათასი კაცი, დანარჩენები დაბლოკილები არიან. კვინსლენდში უდენოდ 180 ათასზე მეტი სახლი დარჩა.

* * *

**ჟურნალისტების დაცვის კომიტეტმა ბრალი დასდო ეგვიპტის პრეზიდენტის მომხრეებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლებზე თავდასხმაში**

გავრცელებულ განცხადებაში კომიტეტმა ეს შეაფასა, როგორც „ტაქტიკის შეცვლა, რომელიც ცოტა ხნის წინათ შეადგენდა ცენზურის განხორციელებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, დღეს კი — წინასწარ განზრახულ თავდასხმებად ჟურნალისტებზე მთავრობის მომხრე ბრბოს ხელით“. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა მოუწოდა ეგვიპტის არმიას უზრუნველყოს ჟურნალისტების დაცვა.




* * *

**კაიროში დაიწყო სროლები დემონსტრანტების მისამართით: არიან დახოცილები და დაჭრილები**

მომიტინგეებმა მთელი ღამე კაიროს ცენტრში ტახრირის მოედანზე გაატარეს, განთიადისას კი მთავრობის მომხრე ძალებმა გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი თავიანთი ოპონენტების წინააღმდეგ. ამრიგად, აღნიშნავენ მეთვალყურეები, დაპირისპირება გადადის ახალ დონეზე. წინა დღით დემონსტრანტები იყენებდნენ მხოლოდ ჯოხებსა და ქვებს.

* * *

**ნიუ-იორკში შემოიღეს პარკებსა და პლაჟებზე მოწევის ოფიციალური აკრძალვა**

2002 წლიდან ამერიკის მეგაპოლისში უკვე აკრძალულია მოწევა რესტორნებში, ბარებში, საოფისე შენობებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. მოწევის მოყვარულები იძულებული არიან გამოვიდნენ ქუჩებში. ქალაქის საბჭოს ახალმა გადაწყვეტილებამ მოქალაქეთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. უმრავლესობა ასეთ აკრძალვას დისკრიმინაციად მიიჩნევს.



## მართლმსაჯულება

# კვლავ სტრასბურგის იმედითღა უნდა ვიყოთ?!

**მართალია, მინისტრი კალმახელიძე ტელეაპარატურის წინ თავმომწონედ ხსნის ახალ ციხეებს, ასაჩუქრებს პატიმრებს წინასაახალწლოდ, ესწრება შეწყალების კომისიის მიერ მსჯავრდებულთა ვადამდე გათავისუფლების მომენტებს, მაგრამ ეს ყველაფერი პიარია. ხელისუფლებას სურს, საზოგადოებას ისე წარმოუდგინოს სიტუაცია, თითქოს სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარადაა.**

„2009 წლის დეკემბერში ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით, ქუთაისის №2 საპყრობილის კამერიდან გადამიყვანეს ე.წ. ფუქსში. ციხის თანამშრომლებთან შელაპარაკების შემდეგ ორმა მათგანმა – ვინმე დათომ (გვარი არ მახსოვსძ და ნუგზარ ქორდანიამ მცემეს. ისინი მირტყამდნენ წიხლებს მუცელში, ფეხებსა და თავში", – წერს პატიმარი რამაზ პატარაია თავისი ადვოკატის ნინო ანდრიაშვილის დაწერილ ახსნა-განმარტებით ბარათში. როგორც ირკვევა, უმოწყალო ცემა-ტყეპის შემდეგ მსჯავრდებული სამედიცინო დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

ანდრიაშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლისათვის ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრ „ემპათიას" მიმართა. ცენტრის საექსპერტო დასკვნაში წერია – **„ავადმყოფს აღენიშნება კრუნჩხვები, ფეხების პარალიზება და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა. ეს დაავადებები პატარაიას ცემის შედეგად განუვითარდა".** „ემპათია" იქვე აგრძელებს – **„კრუნჩხვები არ არის დიაგნოსტირებული. არც ადეკვატური და აუცილებელი გამოკვლევებია ჩატარებული. პაციენტის ნევროლოგიური მდგომარეობისა და პრაქტიკული ინვალიდიზაციის ამჟამინდელი სტატუსის გათვალისწინებით მას არ უტარდება სათანადო მკურნალობა".** „ემპათია" შექმნილ მდგომარეობას პატიმრისადმი არაადამიანურ მოქცევად მიიჩნევს.

მედიცინის მუშაკთა მოსაზრებას სრულად ემხრობიან სახალხო დამცველის ოფისში, ისინიც საჭიროდ თვლიან სასჯელმისჯილის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას. მიუხედავად კომპეტენტური პირების რეკომენდაციებისა, მსჯავრდებულს მაინც საერთო საკანში ამყოფებენ, „სამკურნალოდ" კი ტკივილგამაყუჩებელ აბებს აწვდიან.

მომხდარზე ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში, მაგრამ ამას იქით საქმე არ წასულა, – აცხადებს პატარაიას მხარე.

ჩვენი სასამართლო ინსტანციების ყველა საფეხურის მოვლის შემდეგ, აცხადებს ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი, იძულებულები ვიქნებით სტრასბურგის სასამართლოს მივმართოთო.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### ჯავახეთში დაცული ტერიტორიის შექმნა იგეგმება

**ალნიშნულთან** დაკავშირებით მთავრობამ საკანონმდებლო ინიციატივით „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მათთვის შესახებ" პარლამენტს უკვე მიმართა.

„საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა და რესურსები იძლევა საშუალებას, რომ გვქონდეს დაცული ტერიტორიები შესაბამისი ინფრასტრუქტურით. აქედან გამომდინარე ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანია პროექტი, რომელიც განხორციელდება ჯავახეთის დაცული ტერიტორიების სახით. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული რეგიონი ამის საშუალებას იძლევა", – აღნიშნა „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა.

მისი თქმით, მთავრობის ამოცანაა, საქართველოს ბუნებას მოუაროს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიოში ეკოლოგიურ პრობლემებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## „მეორედ მოსვლა"

# ვაჰ, „დრონი", „დრონი"... რა დრო გასულა!..




**კი, 21 წელი გასულა გაზეთ „დრონის" პირველი ნომრის გამოსვლიდან, მისი მთავარი რედაქტორის არჩილ გოგელიას მაშინდელი ფორიაქიდან, ახალგაზრდული შემართებიდან, საქართველოს გაუბედურების დაწყების და იმ ავადსახსენებელი დღეებისა და წლების „დრონის" ფურცლებზე „ამეტყველებიდან"!..**

ჰოდა, ამ გაზეთის ფურცლებზე მაშინ გამოქვეყნებული ერთმანეთის უმჯობესი მასალები, დღესაც რომ ვიგონებთ ხოლმე კოლეგები და მკითხველები, თურმე არც ჩვენს ძვირფას აჩიკოს ასვენებდა და გაზეთის აღდგენაზე აფიქრებდა...

მიმდგარა-მომდგარა ჩვენი ძვირფასი კოლეგა და „დრონი" მართლაც აღუდგენია, გუშინწინ პირველი ნომერიც გამოუცია ამ აღდგენილი ერთ დროს პოპულარული გაზეთისა და, „საჭაშნიკო" ნომრიდან ისე ჩანს, იმ სახელ-დიდების დათმობას არც „მეორედ მოსვლის" შემდეგ აპირებს „დრონი"...

არც დაეთმოთ ეს ჩანაფიქრი გაზეთის დამფუძნებლებს: **არჩილ გოგელიას, თეიმურაზ ქორიძეს, მინდია გულუას** და **მთელ გუნდს გაზეთისას,** რომლებიც სულ სხვა დროში და კონკურენციაში იწყებენ „დრონის" გამოცემას!

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, აბა, თქვენ იცით, კოლეგებო!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

## პროექტი

# „ალდაგი ბისიაი" სოფლის მეურნეობის კულტურების დაზღვევას იწყებს...

**სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი" აგროდაზღვევის სფეროში ახალი მიმართულებების ათვისებას იწყებს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში „ალდაგი ბისიაი" მოსახლეობას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურის დაზღვევის ისეთ პროდუქტებს შესთავაზებს, როგორიცაა შინაური ცხოველების, სათბურების, სიმინდისა და სხვა კულტურების დაზღვევა, შემოდგომიდან კი მათ რიცხვს ხილის კულტურებიც შეემატება.**

როგორც „ალდაგი ბისიაის" გენერალურმა დირექტორმა **ნიკოლოზ გამყრელიძემ** „თბილისი მერიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე აგროდაზღვევის სფეროში დაგეგმილ სიახლეებზე საუბრისას განაცხადა, კომპანიამ უკვე გააფორმა ხელშეკრულებები მსოფლიოში ცნობილ გადამზღვეველ კომპანიებთან, რომლებიც აგროდაზღვევის სფეროში წარმოქმნილ რისკად გადაზღვევას გააკეთებენ.

**„მიუხედავად იმისა, რომ ეს სეგმენტი საკმაოდ რისკიანია, ჩვენ მზად ვართ, რომ ამ ბაზარზე შესასვლელად ინვესტიცია განვახორციელოთ. ამ მიზნით, ჩვენ მოწვეული გვყავდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენლები, რომლებიც უკრაინაში სოფლის მეურნეობის კუთხით სადაზღვევო ინდუსტრიას ტექნიკურ დახმარებას უწევენ. აქტიურად ვთანამშრომლობთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. შედეგად, ნოემბრის თვიდან რამდენიმე ფერმერთან უკვე გავაფორმეთ ხელშეკრულება და მათ ხორბლის მოსავალი დავუზღვიეთ. მსგავსი პროგრამები ხელს უწყობს სადაზღვევო სექტორის განვითარებასა და გაძლიერებას. ამ სექტორის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფერმერებისთვის საბანკო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწორედ დაზღვევა შეუწყობს ხელს და ბანკს მისცემს საშუალებს, უფრო თამამად დააკრედიტონ ეს სექტორი, რაც საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო გაზრდის სოფლის მეურნეობის წილს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში",** – დასძინა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, სადაზღვევო კომპანიამ აგროდაზღვევის პოლისების გაცემა უკვე დაიწყო. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში კი ფერმერების ხორბლის მოსავალიც დააზღვია.

„ალდაგი ბისიაი" სადაზღვევო პროექტის მრავალ ისეთ რისკს ფარავს, რომელიც შეიძლება ფერმერს სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს დაუდგეს. აღნიშნული პროგრამით შესაძლებელია ხორბლის მოსავლის დაზღვევა შემდეგი რისკებისაგან: გვალვა, მოყინვა, მიწის გაუწყლოვანება, სეტყვა, ხანძარი, ძლიერი ქარი, მტვრის ქარბუქი, კორიანტელი, ქარბორბალა, კოკისპირული წვიმა, ზვავი და სხვა. ამის გარდა, აგროდაზღვევის პოლისის მფლობელს შესაძლებლობა ეძლევა, მიიღოს კვალიფიციური კადრის კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

**სადაზღვევო კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ვრცლად ისაუბრა აგროდაზღვევის ფირმებზე, თუმცა არაფერი უთქვამს დაზღვევის ტარიფებზე. შეკითხვაზე ტარიფებთან დაკავშირებით ასეთი ზოგადი პასუხი გასცა: „ტარიფებზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, ეს ყველაფერი დამოკიდებულია მის რისკიანობაზე, ვგულისხმობ გეოგრაფიულ მდებარეობას. ნებისმიერ ნათესზე, ფასები 1 ჰექტარზე 100 ლარიდან დაიწყება", აღნიშნა გამყრელიძემ.**

**თინათინ გორცვაძე**

## პარადოქსები ქართულად

# სად სჯობდა გაცლა და სად – არა

**ჩვენი უახლესი ისტორიის ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი აქამდე, მგონი, არცვის შეუდარებია და, მე ვეცდები ამის გაკეთებას.**

1989 წლის 9 აპრილის ღამეს, რომელც აგრე ტრაგიკული აღმოჩნდა, რუსთაველის გამზირზე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან თავმოყრილ 20 ათას კაცს თხოვნით მიმართა უწმინდესმა და უნეტარესმა – შვილნო ჩემნო, ინფორმაცია მაქვს, დიდი საფრთხე გვემუქრება, სჯობს დავიშალოთ, ქაშვეთის ეკლესიას მივაშუროთ და ლოცვა აღვავლინოთო. გაგიგონია? მაშინ იყო ასეთი კატეგორია „ბელადებისა" – არაფორმალთა ლიდერები. ჰოდა „აუხტა" ერთ-ერთი ოდიოზური ლიდერი კათოლიკოს-პატრიარქს და განაცხადა: – არსადაც არ წავალთ, ჩვენ ფიცი გვაქვს დადებული და ფეხსაც არ მოვიცვლითო.

არადა, როცა რუსეთელი სპეცდანელები ტანკებით, ხიშტებით, ნიჩბებით, მომწამვლელი გაზებით მოადგნენ უმწეო ხალხს, ის „ბელადი" სწორედ რომ ფეხმოცვლით გაილალა იქიდან „თანალიდერებთან" ერთად და დამსჯელ რაზმს შეატოვა თავიანთივე შეყრილი მომიტინგეები.

მაშინ რომ დაგვეჯერებინა უწმინდესისათვის, ავიცდენდით 13 მოზრდილისა და 3 მოზარდის მსხვერპლს, გადარჩებოდა 16 ალალი სიცოცხლე...

მოდით, ფიქრით ახლა 2008 წლის 20 იანვარს „მივაკითხოთ", იპოდრომზე რომ შეიკრიბა 300 ათასი კაცი და გავიხსენოთ: იმის ნაცვლად, რომ ეს ამოდენა ცოცხალი მასა არ დაშლილიყო და ორგანიზებულად მოეთხოვა პასუხი ბევრ კითხვაზე ხელისუფალთაგან, პირველ რიგში „ინაუგურირებადი" პრეზიდენტისგან, ერთი „წინამძღოლის" მოწოდებას დაემორჩილა: დაიშალა!

გასაკვირი ისიც არის, რომ იმ უზარმაზარი, ასეულობითათასიანი მასის რიგებში ერთი საზრიანი, ხელმძღვანელძარღვიანი კაცი არ გამოდგა ისეთი, რომ სიტუაციის აღვირი ხელთ ეგდო, მოექაჩა და ეთქვა: – ხალხო, რა დროს დაშლაა, რისთვისაც მოვედით, იმ საქმეს მივხედოთო. არა, ხომ ვართ მაგრები!

ახლა ალბათ ძნელი განსასჯელი აღარ ჩანს, თუ სად სჯობდა გაცლა და სად – არა...

უკიდეგანოდ აპიარებული პრეზიდენტი, გემახსოვრებათ ალბათ, ამას წინათ ფოთიდან გაგვეჩითა ტელეეკრანზე, ერთ-ერთ ოჯახში გაზის მახარობლად შესული და ნიშნისმოგებით განაცხადა: – არც ერთი ხელისუფლების ხელში ფოთში გაზი არ ყოფილა, ეს მხოლოდ ჩვენ შევძელითო.

ღმერთმა სულ სასიკეთო საქმეები გაკეთებინოთ და საკვეხარ-სატრაბახო ნუ გამოგილიოთ, მაგრამ იმაზე რატომ არ დაფიქრდი, სანამ „რასაა, რომ ამბობდი", – ერც ერთი ხელისუფლების დროს რომ არც ერთი პროდუქტი ასე ძვირი არ ღირდა, შაქრის ფასი რო სამ ლარამდე არ ასულა, კილოგრამი ყველისა – ცხრა ლარამდე, ციცქნა შოთისა – 80 თეთრამდე, ავტობუსითა თუ მეტროთი მგზავრობა – 50 თეთრამდე და ასე შემდეგ... ვაი, რომ მართლა ასე შემდეგ!

**არც ერთი წინა ხელისუფლების ხელში არ თენდებოდა გაჭირვებული ხვალე და არ ღამდებოდა გაძვირებული დღე ან პირიქით... ვიცით ეს ჩვენ და მოვერიდოთ პარადოქსულ პარალელებს.**

**ბერდია ბედოიძე**

რჩეულნი

# ტრადიციის ერთგულნი

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მსგავსად, ყოველწლიურად ავლენდა სეზონის ლაურეატებს და პომპეზურ წინასაშობაო ღონისძიებაზე მათ საკადრისადაც აჯილდოებდა.**

ბუნებრივია, ამ საქმეში ორგანიზატორებს მხარში ცალკეულ უწყებებთან ერთად კერძო სექტორიც ედგა, მაგრამ...

ვერ გეტყვით, რატომ აიცრუეს კალმოსნებზე გული ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ფაქტი კი დამაფიქრებელია: მეფე ლირივით ყველასგან მიტოვებულმა სსჟა-მ, საზეიმო საღამოს ვინ ჩივის, თავისი რჩეულნი თებერვლის დასაწყისშილა გამოავლინა. გაეცანით საქართველოს 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის მისეულ ვერსიას.

**1. დავით ზირაქაშვილი (რაგბიძ,**

**2. ვიქტორ სანიკიძე (კალათბურთიძ,**

**3. გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობაძ,**

**4. ზაზა ფაჩულია (კალათბურთიძ,**

**5. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლაძ,**

**6. ელენე გედევანიშვილი (ფიგურული ციგურაობაძ,**

**7. ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდოძ,**

**8. ნანა ძაგნიძე (ჭადრაკიძ,**

**9. ჯანო ანანიძე (ფეხბურთიძ,**

**10. დავით ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობაძ.**

რაც შეეხება საუკეთესო გუნდს, ასეთად ჩვენმა კოლეგებმა კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები მიიჩნიეს.

სულ რეფერენდუმში მედიის 39 წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებმაც სპორტის 17 სახეობის 36 კანდიდატი დაასახელეს.

**გია პლატონიშვილი**

კალათბურთი

# გამოვიდა და...

**შარუნას იასიკიავიჩიუსი ერთადერთია, ვისაც ევროლიგა სამი კლუბის („ბარსელონა“, „მაკაბი“, „პანათინაიკოსი“ძ შემადგენლობაში აქვს მოგებული.**

**ამჟამად 35 წლის ლიტველი**



**გამთამაშებელი სტამბოლის „ფენერბახჩეში“ თამაშობს. და მერე როგორ!**

თურქულმა გრანდმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიმარჯვა „ჟალგირისთან“ – 80:72 და, მეორე წრის მატჩების შედეგების მიუხედავად, პრაქტიკულად გაინაღდა პლეი-ოფის საგზური, საიდანაც „ოთხთა ფინალამდე (მაისი, ბარსელონაძ ერთი ნაბიჯილა რჩება.

თანამემამულეებთან ბრძოლაში ბალტიისპირელი, რომლის კარიერაც კაუნასელთა პრინციპული მეტოქიდან – „რიტასიდან“ ილებს სათავეს, მეხუთე წუთზე ჩაება, როცა მისი პარტნიორები სოლიდური უპირატესობით მარცხდებოდნენ – 7:17. სარბიელზე ახალგამოსულმა ვეტერანმა მაშინვე სამქულიანი ჩააგდო, რასაც რამდენიმე შედეგიანი გადაცემა დაუმატა. თითქოს ლიდერის სიგნალს ელოდნენო, საგრძნობლად გააქტიურდნენ სივაში, თომასი, პრჟელიჩი, ონანი და უკიჩი, ეს კი ოსმალური კლუბის წარმატების მომასწავებელი აღმოჩნდა – 80:72. იმავე დღეს „დ“ ჯგუფში გამართული მეორე მატჩი „ოლიმპიაკოსმა“ ნესტეროვიჩის (17 ქულა) ძალისხმევით შინ „ვალენსიას“ მოუგო – 77:62.

**შემდეგი ტური:** ჟალგირისი“ – „ფენერბახჩე“ ( 16 თებერვალიძ, „ვალენსია“ – „ოლიმპიაკოსი“ ( 17 თებერვალიძ.

* * *

**საშობაო არდადეგების შემდეგ დღეს განახლდება ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. გაუწყებთ სუპერლიგის XI ტურის შეხვედრათა განრიგს.**

**4 თებერვალი.** „ბათუმი“ – „დინამო“ (17 საათზე, ბათუმშიძ, „ენერჯი ინვესტი“ – „ქუთაისი“ (18 საათზე, რუსთავშიძ.

**5 თებერვალი.** „სასოფლო“ – „სოხუმი“ (12 საათზეძ, შსს – „სამედიცინო“ (14 საათზეძ, თსუ – სტუ (16 საათზეძ.

**გიორგი შოთაძე**

ძიუდო

**ათენი. 2004 წლის 18 აგვისტო.**

**ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის მატიანეში – დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ზურაბ ზვიადაური. ქართველმა ფალავანმა ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ფინალში – იაპონელი ჰიროში იზუმი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მქონდა ბედნიერება, „ანო ლიოსიას“ დარბაზში ზვიადაურის ოლიმპიურ ბატალიებს დავსწრებოდი და თავად მეხილა მისი აღზევება...**



# წავიდა, რათა დარჩეს

მას შემდეგ შვიდი წელიწადი გავიდა და კიდევ ერთხელ ვნახე ხელში ატაცებული ზურაბ ზვიადაური, ამჯერად თბილისის სპორტის სასახლეში, გულაჩუყებული, თვალებზე ცრემლმომდგარი. 2011 წლის 29 იანვარს ის აქტიურ სპორტს დაემშვიდობა.

– 21 წელიწადი ვემსახურე ძიუდოს – ბავშვობის სიყვარულს, იყო წარმატებები, მარცხით განცდილი სინანულიც. კარიერაში უდიდესი მწვერვალი, ცხადია, ათენში დავლაშქრე. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩემს მწვრთნელებს – გუგული აბრამიშვილიდან დაწყებული შოთა ხაბარელით დამთავრებული. განსაკუთრებით ბატონ შოთას ღვაწლი მინდა გამოვყო. მისი ცნობილი შეძახილი – „რას შვრები, რას“! ჩემთვის გაფრთხილებაც იყო და სტიმულიც. ათენში იაპონელ იზუმისთან შეხვედრისას, როცა გაფრთხილებით ვაგებდი შეხვედრას, კიდევ 10-15 წამი ვაპირებდი პასიურობას და შემდეგ მინდოდა შეტევაზე გადასვლა. ტაბლოს არ ვუყურებდი, ამიტომ ჩემი ჩანაფიქრი ფუჭი გამოდგებოდა, მწვრთნელის შეძახილს რომ არ გამოვეფხიზლებინე. ღვთის ნებაც იყო, ოთხი წამით ადრე იაპონელი რომ გააფრთხილეს. არც მეეჭვება, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევამ ელადაში მიწია. უფლის ნებით, დამატებით დროში ვძლიე მეტოქეს და ჩემპიონი გავხდი.

სხვათა შორის, ფინალის წინ ისე ვიყავი მოტივირებული, რომ უდავო გამარჯვების მჯეროდა. ტატამზე გასვლამდე ტკივილგამაყუჩებელი ნემსი რომ გამიკეთა, ჩვენს ექიმს ზურაბ კახაბრიშვილს ვუთხარი – სამი გაფრთხილებაც რომ მომცენ, პულსი ნუ აგიჩქარდება, ამ შეხვედრას მაინც მოვიგებ-მეთქი. მოთელვისას შოთა ხაბარელი გვერდით მედგა და გასიებულ ფეხს მიფარავდა, მეტოქემ არ შენიშნოს. განგების მადლიერი ვარ, კეთილი ადამიანების შრომა წყალში რომ არ გადამაყრევინა. მადლობა ყველას, ვინც ჩემს დაოსტატებაში წვლილი შეიტანა, გულისხმიერება გამოიჩინა და დახმარების ხელი გამომიწოდა – ფედერაციას, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის სამინისტროს, განსაკუთრებით კი ქართველ გულშემატკივარს, რომლის სიყვარულსაც ყოველთვის ვგრძნობდი.

**– ჯერ 29 წლის ხარ. ნაადრევად ხომ არ ტოვებ ტატამს?**

– ასაკის გამო არ ვემშვიდობები აქტიურ სპორტს. ტრავმებმა შემაწუხა ძლიერ. ათენის ოლიმპიადის შემდეგ შვიდი ოპერაცია გავიკეთე – ორი ხერხემლისა, ოთხი მუხლისა და ერთიც მხრისა. ძალიან გამიჭირდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ რა ვქნა – ვერა და ვერ დავდექი ფეხზე. საბოლოოდ სპორტს მაინც არ ვტოვებ – ავსტრიელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ პეტერ ზაიზენბახერთან ერთად ძიუდოისტთა პირველ ნაკრებთან ვიმუშავებ. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ჩემმა შეგირდებმა ის შეცდომები არ გაიმეორონ, რაც მე დავუშვი კარიერის განმავლობაში. ძიუდოში დროებითი ჩავარდნა მალე გაივლის და კვლავაც გვეყოლებიან დიდი ჩამპიონები.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: მარცხნიდან: ოლიმპიური ჩემპიონები – გიორგი ასანიძე, ზვიად ზვიადაური და ირაკლი ცირეკიძე.**

**ავტორის ფოტო.**

ინტერნეტიდან

## აკრძალეს „ექსტრემისტული“ ნომრები



**ამ დღეებში ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის“ ასოციაციის აღმასკომის სხდომაზე მიიღეს ძალზე რადიკალური გადაწყვეტილება, რაც მიმართულია სპორტში ექსტრემიზმის წინააღმდეგ. ასოციაციის ხელმძღვანელობა, გაერკვა რა ექსტრემისტული ნუმეროლოგიის წვრილმანში, ფეხბურთის კლუბებს ურჩევს, უარი თქვან ფეხბურთელთა მაისურებზე განსაზღვრული ციფრების გამოყენებაზე, რადგან მათში იგრძნობა ექსტრემისტული საფანელი.** ამ კატეგორიაში მოხვდა სათამაშო ნომრები 14, 18, 28, 88, თანაც ამ რეკომენდაციის ავტორები მიუთითებენ ფიფას რაღაც რეგლამენტზე, რაც, როგორც ჩანს, პირდაპირ გაიგეს. მაგალითად, 14-88 კოდური ლოზუნგია, რასაც თეთრი ნაციონალისტები იყენებენ მისალმებისთვის ან ხელმოწერისთვის, რიცხვით 18 ნეონაციონალისტები აღნიშნავენ ჰიტლერის დაბადების დღეს, 28-ში კი გაშიფრულია ლათინური ასოები BN, რაც მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „Blood Honour“ აბრევიატურაა.

ყოველივე ეს კი იმან გამოიწვია, რომ ბელარუსული გუნდების მონაწილეობით გამართულ მატჩებზე ბოლო წლებში გახშირდა ფაშისტური ხასიათის აქციები. მაგალითად, შარშან გაზაფხულზე მინსკის „დინამოს“ გულშემატკივრებმა „ვიტესკთან“ შეხვედრისას გამოფინეს ნაცისტური შინაარსის ბანერი, რომელშიც პატივს მიაგებდნენ ჰიტლერის მოადგილის რუდოლფ ჰესის ხსოვნას, რის გამოც კლუბი დააჯარიმეს ბელარუსის ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო თანხით. თვენახევრის შემდეგ კი ბატეს თაყვანისმცემლებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩზე ისლანდიის „ჰაფნარფიორდურთან“ აღმართეს ტრანსპარანტები დაწყევლილი ციფრებით 14 და 88, რასაც გრანდიოზული სკანდალი მოჰყვა. თამაში ბატეს გამარჯვებით დამთავრდა – 5:1.

## ლამაზმანების ჩემპიონი

**ყველას აინტერესებდა წლევანდელ სეზონში ტურინის „იუვენტუსის“ არადამაკმაყოფილებელი თამაშის მიზეზი. ეს დააბრალეს კლუბის მთავარ მწვრთნელ ლუიჯი დელ ნერის, მოთამაშეთა შერჩევა არ იცისო.**

სინამდვილეში კი ფეხბურთის მცოდნეებმა სხვა დასკვნა გააკეთეს: „ბებერი ქალბატონის“ შავ-თეთრი მაისურებით მოთამაშეთა გაუმართავი თამაში მათი ლამაზმანი, ვარსკვლავი საყვარლების და ცოლების ბრალიაო.

მაგალითად, იანვრის ტრანსფერით კლუბი შეივსო ლუკა ტონით, რომელიც ტურინში გადავიდა თავისი ლამაზი ცოლით – მარტა ჩეკეტოთი, აგრეთვე ალესანდრო მატრით, რომლის სატრფოა გადასარევი ფედერიკო ნარგი. აქამდე კი კლუბში იყვნენ ჯიჯი ბუფონი (ალიონა სერედოვას ქმარიძ, ფაბიო კვალიარელა (სარა ტომაზის „მეგობარი“ძ, ალბერტო აკვილანი (მიქაელა კვადროჩიკეს „ახლობელი“ძ. ისინი ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელებული ბუფონის გარდა მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობენ.

მხოლოდ ალესანდრო დელ პიეროსა და კლაუდიო მარკიზიოს ცოლებს სონასა და რობერტას შეუძლიათ თვალი გაუსწორონ გულშემატკივრებს: პირველი ხომ „იუვენტუსის“ ნამდვილი ლიდერი და მთავარი ვარსკვლავია, მეორე კი ძალზე პერსპექტიული ფეხბურთელი, თუნდაც ახალი ანტონიო კონტე. როგორც ამბობენ, ფეხბურთელები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ თავიანთ ლამაზ ცოლებს, ვიდრე ვარჯიშსა და თამაშს.



SOS!

# ზუგდიდის ახლადაშენებული სპორტკომპლექსი სავალალო მდგომარეობაშია

**„ვარდოსანი ხელისუფლება“ ხშირად იკვეხნის იმ აღმშენებლობით პროცესს, რომელიც თურმე მიმდინარეობს საქართველოში. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა შენდება, სად შენდება, როგორ შენდება. არ ითვალისწინებს არავის მოსაზრებასა და რჩევას.**

ამ ოთხიოდე წლის წინათ ზუგდიდის შესასვლელთან სპორტკომპლექსი აშენდა. ამ ადგილას ადრე თურმე ეკლესია იდგა და სანამ მშენებლობა დაიწყებოდა, ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ეკლესიის მსახურნი წინ აღუდგნენ ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ სპორტკომპლექსი ამ წმინდა ადგილზე აშენებულიყო. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, მშენელობა მაინც დაიწყო. მუშაობის პროცესში ორი მუშა ბეტონის ფილების ქვეშ მოჰყვა და გაიჭყლიტა.



ამჟამად ეს ცოდვილი სპორტკომპლექსი სავალალო მდგომარეობაშია. ნაჩქარევად და უხარისხოდ აშენებულ შენობას საძირკველი აქვს მორყეული, სახურავი დაზიანებულია, ნაწვიმარი წყალი შენობაში ჩამოდის და ვედროებითა და კასრებით ხაპავენ, სწორედ ამიტომაც ხვდება სპორტკომპლექსში მისულთ ასეთი წარწერა: „წვიმიან ამინდში ვარჯიშები არ ტარდება“. ჭერიდან ე.წ. პლასტიკატები ცვივა და ვარჯიშის დროს ერთ-ერთ ბავშვს ფეხზე დასცემია კიდეც.

სპორტკომპლექსის დირექტორი ხელისუფლებისაგან დახმარებას ითხოვს. სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები სასწრაფოდაა დასაწყები, სანამ ისევ არ დატრიალებულა „ცოდვის ბორბალი“. ამჟამად სპორტკომპლექსში ვარჯიში, სპორტული ღონისძიებების ჩატარება დაუშვებელია.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

## ეკოლოგია

**„ჩვენ კოლხეთის დაბლობი უნდა დავაშროთ, ამას დაახლოებით 2012 წლისთვის ვვარაუდობთ. იქ არის უამრავი რაოდენობის მიწა, რომელიც საექსპორტოდ გამოყენებული შეიძლება იქნას“, – განაცხადა ახალი ინიციატივის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შარშან კახეთში ყოფნისას.**

პირველი, რაც ამ ამბის გაგების შემდეგ გამახსენდა, ის იყო, რომ რამდენიმე წლის წინათ, იმხანად ჯერ კიდევ „ცოცხალ“ საქინფორმში მუშაობისას, ყულევის ტერმინალში აზერბაიჯანული სახელმწიფო სანავთობო კომპანიის „სოკარის“ რამდენიმე ახალი ნავთობსაცავის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს, აწ განსვენებულ გია არსენიშვილს ვახლდი.

მახსოვს, ბატონი გია არსენიშვილი საგანგებოდ დაინტერესდა ყულევის ტერმინალის გაფართოების პერსპექტივით და, ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყულევის, როგორც კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელოვანი ნაწილის, ეკოლოკიური დაცვის აუცილებლობას, რომელსაც უდიდესი ბუნებრივი დატვირთვა აქვს, რის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. კოხეთის დაბლობის მილიონობით გადამფრენი ფრინველისთვის დასვენების ჩვეული ადგილია უგრძეს თვალსაზრისით, კოლხეთის დაბლობი იმ ტროპიკული და სუბტროპიკული ლანდშაფტის შემორჩენილი ნაწილია, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე კაინოზოურ ერაში, დაახლოებით 10 მილიონი წლის წინათ წარმოიშვა და მას ზოლად გაყვებოდა. სადღეისოდ კოლხეთის დაბლობზე შემორჩენილია ენდემური მცენარეები, რომლებიც კიდევ მხოლოდ ევრაზიის უკიდურეს ჩრდილოეთში ჭაობებიან ეკოსისტემებში იზრდება.

იმის მიუხედავად, რომ კოლხეთის ჭაობებში უზარმაზარი სიმდიდრეა თავმოყრილი, მისი გამოყენებისას სახელმწიფოს უდიდესი სიფრთხილე მართებს. ამის კარგი მაგალითია პალიასტომის ტბა, რომლის ბიომრავალფეროვნება კომუნისტების „თვითშემოქმედებას“ სასწაულებრივად გადაურჩა. ამასთან, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **კოლხეთის დაბლობი ათიათასობით წლის მანძილზე მილიონობით გადამფრენი ფრინველის ბუნებრივი მოსასვენებელი ადგილი იყო და არის, სადაც 300-მდე უნიკალური სახეობის ფრინველი ბუდობს.** ამასთან დაკავშირებით, კოლხეთის დაბლობის დაშრობის იდეის ავტორებს ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ **1996 წლიდან საქართველო მიუერთდა გაეროს უმკაცრეს კონვენციას „რამსარს“ ბუნებრივი ფილტრების, ანუ ჭაობების დაცვის შესახებ, ამდენად, მათი ასე ჰაიჰარად დაშრობის უფლება ქვეყნის ხელისუფლებას არა აქვს. სწორედ**

# არგონავტთა კოლხეთის დასასრული?!



მარშრუტზე უცხო ქვეყნებიდან სამშობლომდე, ამდენად, ამ მხრივ მისი როლი განუზომლად დიდია. გარდა ამისა, მთლიანად კოლხეთის დაბლობის დაშრობა, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილია ყულევი, გარემოს დიდ ზიანს მიაყენებს და ნეგატიურ საერთაშორისო რეზონანსს გამოიწვევს.

ცოტა ხნით კოლხეთის დაბლობის დაშრობას თავი რომ დავანებოთ, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქვეყნის შიგნით ათიათასობით ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა გვაქვს, რომელსაც დაშრობა კი არა, მხოლოდ მზრუნველი ხელი სჭირდება. **ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში სახნავ-სათესი მიწებისა და სავარგულების 70 პროცენტი, ანუ 540 ათასი ჰექტარი დაუმუშავებელია.**

რაც შეეხება თავად კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნაწილის დაშრობას, უნდა ითქვას, რომ ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული პროექტი ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა პრეზიდენტის განცხადების თანახმად, მთელი სამუშაოები 2012 წლამდე, ანუ წლეულს უნდა დასრულდეს. არადა **ნუ დაგვავიწყდება, რომ ჭაობი – უნიკალური ეკოსისტემაა, რომელიც ქვეყნის სანაპირო ზოლს იცავს, იგი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი ფილტრია, რომლის მოშლას რეგიონული კატასტროფა მოჰყვება, რომლის შედეგების წინასწარ განჭვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია.**

უნდა ითქვას, რომ კოლხეთის დაბლობის დაშრობის იდეა სულაც არ არის მიხეილ სააკაშვილის ნოუ-ჰაუ, მე-20 საუკუნეში ეს აზრი ლავრენტი ბერიას გაუჩნდა, რომელმაც ჩანაფიქრი აღასრულა კიდეც, დამშრალ ადგილებში ჩაის პლანტაციები და ევკალიპტის ტყეებიც გააშენეს ჭარბი ტენის შესაწოვად, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა და ეს ადგილი ხელმეორედ დაჭაობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჭაობი საქმეში გაუთვითცნობიერებელი კაცისთვის, შესაძლოა, ყოვლად უვარგის ადგილად აღიქმებოდეს, მაგრამ ეს ასე სულაც არ არის. **მარტო კოლხეთის ჭაობებში იმდენი ცილაა დაგროვილი მილიონობით წლის მანძილზე, რომ ქვეყანას ექსპორტზე გასატანად არაერთ ათეულ წელს ეყოფა. ამ რელიქტურ ადგილებში უამრავი ორგანული სასუქია დაგროვილი, უამრავი თერმული წყარო ამოდის.** გეოლოგიური **ამ კონვენციის საფუძველზე შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკიც. კონვენცია „რამსარის“ ხელმომწერმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ წყალჭარბი ტერიტორიების დაცვა. სადღეისოდ კონვენციას 159 ქვეყანაა მიერთებული.**

საგულისმოა, რომ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კოლხეთის მსგავსი ჭაობიანი ადგილების დაშრობამ არც ერთ ქვეყანას არ მოუტანა სიკეთეა, ამდენად, ბოლო დროს ამის გაკეთებას ყველანი ერიდებიან. მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ **ზღვისპირა ჭაობები – ესაა ბუნებრივი ფილტრი, რომელიც, პირველ ყოვლისა, დაბინძურებისგან თავად ზღვას იცავს.** კოლხეთის ჭაობიანი ნაწილის დაშრობის შემთხვევაში კი სავსებით რეალურია მთლიანად კოლხეთის ჭაობის დატბორვის საშიშროება, მით უმეტეს, თუ შავი ზღვის ბუნებრივ რეგრესიას, ანუ ხმელეთზე შემოტევას გავითვალისწინებთ, რაც გეოლოგიურ დროში პერიოდულად მეორდება და რასაც ვერაფრით შევაჩერებთ. მეტიც: **ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც კოლხეთის ჭაობებისნაირი ადგილები დააშრეს, ცოტა ხანში ხელისუფლებას მათი კვლავ... ხელოვნურად დაჭაობება მოუხდა, რადგან ბუნებრივი ბალანსის დარღვევა რეგიონებს ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრებოდა.**

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ არავინ იცის, თუ რა და როგორ უნდა გაშენდეს „იმ“ დაშრობილ კოლხეთის ჭაობების ადგილას, თუ ამ ჰიპოთეზურ პროექტს საერთოდ უწერია განხორციელება. ერთადერთი, რის შესახებ რეალურად შეიძლება ლაპარაკი, კოლხეთის ჭაობების სათანადო დონეზე დაშრობის შემდგომ იქ საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა უნდა განვითარდეს მეცხოველეობის, შესაბამისი საკვები ბაზის შექმნითა და წარმოებით, რაც ადგილობრივი მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის გარდა, გასაშენებელი საკურორტო ინფრასტრუქტურის მომსახურებასაც გულისხმობს, ხოლო ჩვენი ხელისუფლების საერთაშორისო თუ საშინაო ტურისტული ბუმის აგორებას თუ გავითვალისწინებთ, ცოტა ხანში არგონავტების კოლხეთი, შესაძლოა, წარსულს ჩაბარდეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ხსოვნა

# წუთისოფლის ლამაზი სტუმარი

ჩვენს სამეგობრო წრეს გამოაკლდა მეტად საინტერესო, ორიგინალური, კოლორიტული პიროვნება, გამორჩენილი ინჟინერი, მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი გივი ვალერიანის ძე მინდელი.



გივი მინდელმა მოსკოვში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მიიღო პროფესორის წოდება. მას კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ იმდროინდელი დიდი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ წრეებში.

დაარსებიდან, 1970 წლიდან, იყო მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორი; თავადვე ააშენა და დაამშვენა, შექმნა შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღზარდა ჭეშმარიტ პროფესიონალთა მთელი პლეადა. ამავე დროს, მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის გამგეობას, და, შეიძლება, იმანაც კი მოუსწრაფა სიცოცხლე, ბოლო წლებში, ამ თავის ნალოლიავებ ინსტიტუტში შესვლის უფლებასაც რომ არ აძლევდნენ.

მეგობრობაშიც გამორჩენილი და გამორჩეული იყო – მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყები და სულისჩამდგმელი, მიამიტობამდე გულწრფელი და გულუხვი, ქართული სუფრის მოყვარული და პატივისმცემელი. რაც შეეხება გარდაცვლილ მეგობრებს... სიცოცხლეში სულ ეფერებოდა ოთარ ფრანგიშვილს, გივი გამყრელიძეს, ნუკრი ნემსიწვერიძეს, გურამ სანაძეს, ვაჟა ჯინჯიხაძეს, პეტრე მშვენიერაძეს, სხვებს; წავიდნენ ისინი ამ ქვეყნიდან და ისევ გივის უპირველესობით ხშირად მოვიხსენიებდით ხოლმე.

სულ ეჩქარებოდა. სწრაფად უნდოდა საქმის გაკეთება, სუფრის გაშლა და ჭიქის დაცლა. თითქოს მუდამ ახსოვდა, რომ მხოლოდ სტუმარია წუთისოფლისა და უნდა მოესწრო წყურვილის მოკვლა, სიცოცხლის მშვენიერებით ტკბობისა და მისი წყაროდან ანკარა წყლის შესმის წყურვილისა.

მინდელების გვარმა ბევრი ცნობილი კაცი გაზარდა. საქართველოს ახსოვს ერთ-ერთი უდიდესი ინჟინერი, გივის ბიძა ელიზბარ მინდელი, დიდი მშენებელი გიორგი მინდელი; გვჯერა, ჩვენი ქვეყანა არ დაივიწყებს ღირსეულ მამულიშვილს გივი მინდელს. ოჯახთან, მეუღლესთან, შვილებთან ერთად არ დავივიწყებთ გივის ჩვენ, მისი მეგობრები.

მეგობრები

## გახსენება

# კაკო გამყრელიძე



ამბობენ, სიკვდილსაც კარგი ადამიანები უყვარსო; ამ ნათქვამით ვიმშვიდებთ ხოლმე თავს, თუკი ამას დამშვიდება და ნუგეში ჰქვია. ამა წლის 5 თებერვალს ჩვენს უახლოეს, საყვარელ მეგობარს 61 წელი შეუსრულდებოდა, იგი ხანმოკლე წუთისოფლიდან გავაცილეთ 6 თვის წინათ, 2010 წლის 8 სექტემბერს. თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე კაკომ ადამიანების სიყვარულს, საზოგადოებას და დღეისთვის ყველაზე აქტუალურ დარგს – ნარკოლოგიას შეალია.

ცნობილია, რომ ყოველი ადამიანი არის პიროვნება თავისი განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აშკარად გამოირჩევიან პიროვნულად და ნათელ კვალს ტოვებენ სიცოცხლეშიც და ამ ქვეყნიდან წასულის შემდეგაც, სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა აკაკი გამყრელიძე.

იგი წლების მანძილზე მუშაობდა ფსიქიატრიის ინსტიტუტის ნარკოლოგიური კლინიკური განყოფილების მეცნიერ ხელმძღვანელად, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ ნარკოლოგად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ ფსიქიატრად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტად, წამალდამოკიდებულთა ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების კოორდინატორად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად; იყო სამედიცინო და სოციალური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიის ავტორი.

კაკო იყო მოსიყვარულე, მზრუნველი, ყურადღებიანი შვილი, ძმა, მეუღლე, მამა, ბაბუა, მამამთილი აფხაზი რძლისა, რომელმაც მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად პატარა კაკო გამყრელიძე აჩუქა საქართველოს ამ ერთი თვის წინათ. სიცოცხლე გრძელდება...

რაოდენ სამწუხაროა, რომ წავიდა და მის მიერ წამოწყებული საქმე – ბაზალეთზე ნარკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობა – ვერ დაასრულა, თუმცა ჩვენ, მისი უახლოესი მეგობრები და კოლეგები, ვეცდებით, მის მიერ წამოწყებული საქმიანობა მივიყვანოთ ბოლომდე.

ისლა დაგვრჩენია, ვილოცოთ, რათა ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, და ჯანმრთელობა, ბედნიერება და ხანგრძლივი სიცოცხლე არ მოაკლოს მის ოჯახს.

ახლო მეგობრები

შოთა გამყრელიძე, ლიკა მენთეშაშვილი, ირაკლი გამყრელიძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების, სახელოვანი მკვლევარისა და მეცნიერების ორგანიზატორის
გივი ვალერიანის ძე მინდელის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

მარინა გამყრელიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს უახლოეს მეგობარს ჟუჟუნა აღნიაშვილს დედის მაყვალა პოპიაშვილის გარდაცვალების გამო.

## ინფორმაცია

### საზარელი მკვლელობა

**მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში წიკლაურების ოჯახში, დედამ საკუთარი 5 წლის შვილი ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი შეშის ნაჭერი თავში ჩაარტყა.**

**პატარა მიღებული ტრავმებით გარდაიცვალა.**

**პოლიციამ შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა.**

**მომხდარ ფაქტზე გამოძიება მცხეთის რაიონულმა პროკურატურამ დაიწყო.**

ჯი-ეიჩ-ენი

**რეკლამა**
**„საქართველოს რესპუბლიკაში“**
**99-62-77;**
**899 32-85-76.**

## განცხადება

**2011 წლის 5 მარტს დღის 10 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება თბილისის „ცენტროლიტის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა.
2. სხვადასხვა.

მისამართი: თბილისი, ანდრონიკაშვილის 29, სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2011 წლის 4 თებერვალი.

**სს „ცენტროლიტის“ სამეთვალყურეო საბჭო.**

## დაიჯესტი

### „გავანძრიოთ ტვინი“!

**თავის ტვინი, ალბათ, ადამიანის სხეულის ყველაზე უფრო მეტად იდუმალი ორგანოა. მეცნიერებმა ამჟამადაც ბევრი არ იციან მისი შესაძლებლობებისა და ფარული რეზერვების შესახებ, თუმცა ზოგიერთ მის საიდუმლოს მკვლევარებმა მაინც მიაგნეს.**

● დაბადებიდან ადამიანის თავის ტვინი 14 მილიარდ უჯრედს შეიცავს,



რომელთა რიცხვი ცხოვრების მანძილზე არა თუ მატულობს, პირიქით, იკლებს. 25 წლის ასაკიდან მოყოლებული იგი დღე-ღამეში 100 ათასით მცირდება. წიგნის ერთი გვერდის წაკითხვისას დაახლოებით 70 უჯრედი კვდება.

● 2-დან 7 წლის ასაკამდე ადამიანის თავის ტვინი ყველაზე ინტენსიურად ვითარდება.

● წამში თავის ტვინში 100 ათასი ქიმიური რეაქცია ხდება.

● მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ ადამიანის თავის ტვინს შეუძლია 8432 ნოლით გამოსახული რიცხვის ოდენობის ბაითის დატევა.

● დღის განმავლობაში ადამიანის თავის ტვინი გაცილებით მეტი ელექტრონული იმპულსის გენერირებას ახდენს, ვიდრე ერთად აღებული მსოფლიოს ყველა ტელეფონი.

● იულიუს კეისარი სახით იცნობდა თავისი ჯარის 25 ათას მეომარს.

● ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოს თავის ტვინი სიგნალებს საათში 288 კილომეტრის სიჩქარით გადასცემს.

● ინგლისელ დომენიკო ბრაიენს წერილობით აუკრძალეს სამორინეებში თამაში, რადგან უნიკალური მეხსიერება მას დასტაში დარჩენილი ბანქოს ქაღალდების დამახსოვრების საშუალებას აძლევდა.

● ადამიანის თავის ტვინი 75 პროცენტით წყლისაგან შედგება.

● მოსკოველ სამველ ღარიბიანს შეუცდომლად ათასი სიტყვის გამეორება შეუძლია, რომლებსაც ათი ენიდან ნებისმიერი თანმიმდევრობით უკარნახებენ.

● გაღვიძებისთანავე ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები გაცილებით დაბალია, ვიდრე უძილო ღამის, ანდა საშუალო სიმძიმის სიმთვრალის დროს.

● ვინმე გასის ზეპირად ახსოვდა 2500 წიგნი, რომელიც ცხოვრებაში წაუკითხავს.

● თავის ტვინის რეგულარულ მუშაობას შეუძლია მძიმე დაავადების, ალცჰაიმერის სინდრომის თავიდან აცილების ხელშეწყობა. საქმე ის არის, რომ ინტელექტუალური აქტივობა დამატებითი ქსოვილების წარმოებას იწვევს, რომლებიც დაავადებულების კომპენსირებას ახდენენ.

### ქველებურად მომხიბლავი

**ცნობილ ფილმში „კლუტი“ ჯეინ ფონდამ 40 წლის წინათ მეძავის როლი შეასრულა. პარიზის ბოლო კინოფესტივალზე იმ ძველ კინოსურათსაც და თავად მსახიობსაც საზოგადოებრიობა ძალზე გულთბილად შეხვდა.** კინოფესტივალზე მსახიობის მონაწილეობით 13 კინოფილმი აჩვენეს, თავად მსახიობმა კი მანამდე ლაჟვარდოვან ნაპირზე ორი თვე თავის ქალიშვილთან ვანესასთან ერთად გაატარა, რომელიც ასევე ცნობილი კინორეჟისორისგან როჟე ვადიმისგან ჰყავს. ფრანგული პრესა აღნიშნავს, რომ 73 წლის ჯეინ ფონდა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ თვალების ქუთუთოები და კანი დაიჭიმა, ისეთივე სექსუალური და მომხიბლავია, როგორიც იყო მისი ორმოცი წლის წინანდელი გმირი მეძავი ბრი.




## მილოცვა

***ქართველ მშენებელთა პატრიარქს, შესანიშნავ პიროვნებას, ჩვენს უფროს მეგობარს იოსებ (სოსო) ხარატიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ ცხოვრებას.***

*ბორის სარალიძე, ირაკლი ანდრიაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ჯემალ გაგუნაშვილი, გივი კვიჟიძე, რევაზ ტყემალაძე*

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● მეორე მსოფლიო ომის დროს უტყუარი ნიშანი, რომლის მიხედვითაც გერმანელი ფაშისტები ქალაქში ცნობების მოსაგროვებლად შესულ პარტიზანებს ცნობდნენ, იყო კვამლის სუნი. ამიტომაც დაზვერვაზე წასვლის წინ პარტიზანები ცეცხლს ახლოს არ ეკარებოდნენ, რათა თმასა და ტანსაცმელზე კვამლის სუნი არ ასვლოდათ.

● სადამ ჰუსეინმა ააშენა მოედანი ორი ვეებერთელა გადაჯვარედინებული ხმლით, რომლის ქვეშაც აღლუმისას მის ჯარს უნდა გაევლო. ჰუსეინი ამბობდა, ამ ხმლებიდან ერთი მე მიჭირავს, მეორე შუა საუკუნეების სახელგანთქმულ მხედართმთავარს, ეგვიპტისა და სირიის სულთან სალაჰ-ად-დინს ჰქონდაო. სალაჰ-ად-დინი არაბეთის ისტორიაში გმირის სახელით შევიდა, მან განდევნა იერუსალიმიდან ჯვაროსნები. ერაყელები კი ჰუსეინს ემადლიერებოდნენ იმისთვის, რომ მან ნანგრევებიდან აღადგინა უძველესი ქალაქი ბაბილონი.

● არგენტინის მოსახლეობის 40 პროცენტს იტალიელები შეადგენენ.

● ფილიპე მაკედონელმა ძვ.წ.338 წელს ქერონეიის ბრძოლაში დაამარცხა ბერძნები.

● პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია ნიდერლანდებში მოხდა.

● მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუმინეთმა თავისი ტერიტორია და მოსახლეობა ორჯერ და მეტჯერ ავსტრიის, უნგრეთის, ბულგარეთისა და რუსეთის ხარჯზე გაზარდა.

● სომხეთის მთებში მდინარე ზარავშანის სათავესთან უკვე 1500 წელია ნახშირის ფენები იწვის.

● ნიკოლოზ I-მა რუსეთის შიდა ბაზრის განვითარების მიზნით აკრძალა იმპორტული საქონლის შეტანა გადასახადის გარეშე. ბრძანებულებაში გათვალისწინებული იყო ამ პრობლემის მოგვარების ტექნიკური მხარეც, რაც დღესაც განასხვავებს ევროპას რუსეთისაგან, — ეს გახლავთ რკინიგზის სიგანე.

● ერთ-ერთი იაპონური ფირმა თავის ნაწარმს უშვებს მარკით „Made in Usa“ საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ ფირმამ პროცესი მოიგო, რადგან ის პატარა იაპონურ ქალაქშია რეგისტრირებული და მისი სახელი ამერიკის შეერთებული შტატების აბრევიატურას ზუსტად ემთხვევა.

● საერთაშორისო ორგანიზაცია „იუნისეფი“ წლების განმავლობაში ევროპელებს უჩვენებდა საცხოვრებელი სახლის მაკეტს, რომელიც ჩვეულებრივზე გაცილებით დიდია, გაწყობილია ასევე დიდი ზომის ავეჯით, შესაბამისი ზომის და სიმძიმის ჭურჭლით. ეს ჩვენება კი მიზნად ისახავდა, უფროსებს გაეგოთ, რამდენად ძნელია ბავშვად ყოფნა და ასე მიეთითებინათ მათთვის ბავშვთა სხვა პრობლემებიც.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | 0 — +4 |
| ქუთაისი. | +3 — +4 |
| ბათუმი. | +2 — +5 |
| ზუგდიდი. | -1 — +4 |
| თელავი. | 0 — +6 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ახალგაზრდა კაცი დაქორწინდა. სამი თვის თავზე ცოლი ეუბნება, — ჩემი მშობიარობის დრო დადგაო.

— როგორ?! — გაკვირვებისგან ლამის ყბა ჩამოუვარდა ქმარს, — ჩვენ ხომ მხოლოდ სამი თვის წინათ ვიქორწინეთ?

— მაგრამ შენ ხომ ქორწინებამდე სამი თვით ადრე ცხოვრობდი ჩემთან, ქორწინების მერე — კიდევ სამი თვე. სამჯერ სამი კი ხომ ცხრაა?

წაიყვანა ქმარმა მეუღლე სამშობიაროში. ცოტა ხნის შემდეგ იგი ურეკავს ქმარს.

— ქვირფასო, შავკანიანი ბიჭი შეგვეძინა.

— ეს როგორ?!

— როგორ და, სამშობიაროში რომ მიგყავდი, წინ შავმა კატამ გადაგვირბინა და ბავშვიც შავი გამოვიდა.



შავკანიანის მამა თავის მშობლებთან მივიდა:

— წარმოგიდგენია, მამი, სამჯერ სამი ცხრაა, იქ კიდევ შავი კატა და...

შვილის ნაამბობით გაცოფებული მამა თავის ცოლს უყვირის:

— ქალო, როდესაც ამ დეგენერატის გასაჩენად სამშობიაროში მიმყავდი, ჩვენთვის გზაზე სახედარს ხომ არ გადაურბენია?

* * *

— ისე მომწყინდა ეს ჩვენი ხმაურიანი სკანდალები, რომ მეტი არ შემიძლია, — ამბობს ცოლი.

— მაშინ, თუ გინდა, უსიტყვოდ დაგინგრევ თავ-ყბას.

* * *

წელიწადის ყველაზე მოკლე დღე 1 იანვარია: წესიერად გამოღვიძებასაც ვერ ასწრებ, რომ უკვე ღამდება.

* * *

დამწყები ჟურნალისტი გოგონა ეკითხება ცნობილ მსახიობ ქალს:

„ბავშვობაში სიმპათიური იყავით, თუ ისეთი, როგორიც ახლა ხართ?“

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.